

ნომერი
1933 წ.
№ 95

საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

NOVEMBRE

1933—№ 95

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ხ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

ძეოთაური—მოსკოვი და ვაშინგტონი.
ხ. ფორგსალავა—ერების ურთიერ. საქართვე-ში.
კავკასია და თურქეთი.
ალდა—საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან.
გუშაგი—არსენა მარაბდელი.
ხ. შავიშვილი—ინტერ. მდგომ. ერთა ლიგის ყრილ.
ნაპრი—წერილი ამერიკიდან.

უცხოეთის მიმოხილვა.
თურქეთის ცხოვრება.
გლ.—«როსტომელა» ჩეხურად.
ნიკ. ჭუმბურიძე.
უკრაინელთა შორის.
ქართველთა კოლონიაში.
ერთა ლიგის დამხ. ქართ. საზოგადოება.

მ ო ს კ ო ვ ი დ ა ვ ა უ ი ნ ვ ბ ო ნ ი

დიდ სახელმწიფოთა სია ამოიწურა. დარჩენილი იყო მეექვსე დიდი სახელმწიფო—ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც, 16 წლის გასწვრივ, დაქინებით უარზე იყო ეცნო «პროლეტარიატის» ერთად ერთი სახელმწიფო, ხმელეთის მეექვსედი და აქედან მეშვიდე «დიდი». კიდევ გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰიუზმა, 10 წლის წინ. წამოაყენა პირობები, რომლის დაუკმაყოფილებლათ ვაშინგტონი შეუძლებლათ სთვლიდა საბჭოთა მთავრობის ცნობას, ეს იყო: ვალების ცნობა, პროპაგანდის უკუგდება და საზოგადოთ კულტურულ სახელმწიფოდ ქცევა.

დააკმაყოფილა თუ არა მოსკოვმა ეს პირობები? ჩვენ არას ვიტყვი კულტურა-ცივილიზაციანზე, ამაზე არ ჰქონიათ ლაპარაკი რუხველტსა და ლიტვიჩოვს, საბჭოთა სამფლობელო დარჩა იგივე ევრაზია, ევროპიულ ფრანგოლოგიით შემკული აზიური დესპოტია, სადაც ადამიანის და მოქალაქის უფლება ფესქვეშ გათელილია და შიმშილი უწყალოთ ცელავს მცხოვრებთ. სამაგიეროთ ვალების შესანებ მოსკოვი თანახმა იბაასოს, პროპაგანდას ამ თავითვე «სპობს» და ამას ზედ დასძენს სარწმუნოებრივ თავისუფლებას ამერიკელ მოქალაქეთათვის, თანახმათ საბჭოთა კანონებისა!

რამდენათ სერიოზულია ეს დაპირებანი? ამერიკის პრესა და კონგრესის წრეები პესიმიზმს იჩენენ ამ მხრივ, სენატმა შეიძლება უარიც კი უთხრას რუ-

ხველტს ხარჯების გაღებაზე: პრეზიდენტს უფლება აქვს დანიშნოს ელჩი მოსკოვში, მაგრამ ხარჯი სენატმა უნდა დაადასტუროს.

მაგრამ ყველა ეს მნიშვნელობას მოკლებულია შედარებით, რადგან ვალების გადაუხდელობას უკვე შეეჩვია ამერიკა კიდევ ძალიან კულტურულ ქვეყნებისგან, როგორცაა საფრანგეთი, ინგლისი. რაც შეეხება ბოლშევიკურ პროპაგანდას, ეს გაცილებით უფრო ნაკლებ საშიშია, ვინემ რუხველტის ექსპერიმენტი, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს ეკონომიურ კრიზისს და საცაა მუშებს ქუჩაზე გამოიყვანს, ფერმერები კი უკვე გამოდიან...

არის ერთი გარემოებაც, ანგარიში ჩასადგები. ლიტვინოვი დაპირდა ლონდონში მეორე ავანტიურისტს ბულიტს, ესლა ამერიკის ელჩად დანიშნულს მოსკოვში, ერთი მილიარდ დოლარის საქონელს ვიციდით თქვენგან! მოდი და გაუჩერდი ამ ცდუნებას, ამერიკა დაგროვილ საქონლის ზეინებში იღრჩობა, ამაზე უკეთესი ბაზარი არც კი დაეზმანებოდათ იანკებს. მაგრამ ეს მილიარდიც თანდათან დნება, ჯერ ლაპარაკობდენ მის ნახევარზე, შემდეგ 200 მილიონზე და ესლა 100 მილიონიც საეჭვოთ ეჩვენებათ. უნდა ითქვას, ეს არაა სულაც ლიტვინოვის ბრალი, ის მზათაა სწორეთ ერთი მილიარდ დოლარის საქონელი ჩაიბაროს, მაგრამ ერთის პირობით, გრძელვადიან სესხის სახით. მაშ; ცხადია, ბრალი ისევ ამე-

რიკას დაედება, თუ მან არ მოისურვა ეს «პატიოსანი» კომბინაცია!

მაგრამ ნუ გავივიწყებდებ, თუ ამაშიც დასთმო ამერიკამ. მართლაც და რაშია საქმე? თუ ამერიკის ფერმერები, უბაზრობის გამო, იძულებული არიან არ დაკრიფონ, მაგ., ბამბა, ან კიდევ დასწვან იგი, განა უკეთესი არაა მისი სესხათ გადაცემა მოსკოვისთვის? ეს შესაძლებელია, რადგან რუხველტის განკარგულებაში დიდი თანხებია ამისათვის: ფერმერებს ხაზინა დააკმაყოფილებს, ხოლო უკანასკნელს — მოსკოვი, სულ ერთია, მეორეთ მოსვლისადრე თუ გვიან. რუხველტი ომს აწარმოებს საკუთარ დოლარის წინააღმდეგ, რომ ასწიოს საქონლის ფასი, მოსკოვისთვის ბამბის თუ გინდ უსასყიდლოთ «გაყიდვა» რამდენათმე აღწევს ამ მიზანს. საშუალებათა მორალზე ის ეხლა ყველაზე ნაკლებ ზრუნავს.

ესეც არ იყო, კიდევ მოსკოვის ცნობამდე, ვაჭრობა საბჭოთა და ამერიკის შორის ისედაც ზედმეტი ბალანსით იხურებოდა წლიდან წლამდე უკანასკნელისათვის. ხუთწლედის აქიოტაჟის დროს ამერიკა დიდ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა «გიგანტების» შექმნაში, მისი მანქანები და სპეცები დიდ პატივში იყვნენ იქ. მართალია, ეს ვაჭრობა უმეტესათ ნაღზე სრულდებოდა, მაშასადამე, კავშირის გლეხობის ხარჯზე. მაგრამ დღეს ამომზრალია ეს «უქვევრო» წყარო, მოსკოვს ბევრი არაფერი დარჩა გასატანი, როგორ შეუძლია ნაღზე შემოტანა? ან თუ კიდევ რამე დარჩა, ეს ხომ იგივე ნაფთია, შავი ქვა, ხე-ტყე, მონურ შრომით დამზადებული, რომლის შემოტანას ასე ფარისველურათ ეწინააღმდეგებოდა ამერიკა! მაგრამ ეს არაა დაბრკოლება, ფაქტიურათ წინააღმდეგი იყვნენ და არიან ამერიკის ნაფთის, შავი ქვის და ხე-ტყის მრეწველნი.

არ იქნებოდა ურიგო აქვე აღვნიშნოთ, რა დიდ საჭიროებას წარმოადგენს ამ ქამად კავკასიის საერთო ორგანოს არსებობა. რომელსაც თავისი პროტესტებით უნდა მიექცია ქვეყნიერების ყურადღება, ნაფთი და შავი ქვა ხომ მის ტერიტორიიდან ამოაქვთ, ვის შეეძლო სადათ გაეხადა მისი უფლება? ჩვენ გვახსოვს კავკასიის ოთხ რესპუბლიკათა საბჭომ სპეციალური ნაბიჯი გადადგა წარსულში ამის შესახებ ამერიკის ერთ პასუხისმგებელ პირის წინაშე და მან სთქვა: ჩვენ გვესმის თქვენი სამართლიანი პროტესტი, მაგრამ ამერიკას ასეთი რამ არ ჩაუდენია, ის არ ყიდულობს არც თქვენს ნაფთს, არც თქვენს შავ ქვას. ეს მართალი იყო მაშინ, ეს არაა მართალი დღეს, მით უფრო დროული და სასარგებლო იქნებოდა კავკასიელთა ენერგიული გამონაშურება.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ბოლოთ ეკონომიური თუ სხვა შინა-პოლიტიკური მოტივები, რომელიც მოაქვს ამერიკის პრესას რუხველტის მოქმედების ასახსნელათ, მაგრამ, ცხადია, ეს არ კმარა, და ნამდვილ მამოძრავებელ მოტივზე უფრო ეგროპის პრესა მიუთითებს. იაპონია ემუქრება არა მარტო რუსეთს, არამედ ამერიკასაც — ან სათავე რუხველტის აბრუნდისა. აქ იყრება ორი უდიდეს ქვეყნის — ამერიკის და რუსეთის — ინტერესები და უპირდაპირდება იაპონიის ინტერესებს. მაგრამ რატომ მაინც და მაინც ამერიკამ აიღო თაოსნობა და არა რუსეთმა, რატომ რუხველტმა მიმართა კალინინს და არა წინაუქმო? ეს მოასწავებს ამერიკის სისუსტეს და რუსეთის სიძლიერეს — ჩუბჩულობენ კრემლში, საამკარათ კი აფენენ რუხველტის სურათებს — აი ვინაა ჩვენი მეგობარიო. ან კი როგორ უნდა გამოსულიყო პირველათ კალინინი ე. ი. სტალინი, როცა ის დარწმუნებული არ იყო დადებით პასუხზე? სულ სხვაა რუხველტი, მისი ერთი სიტყვა მაშინვე მიიზიდავდა სტალინს, როგორც მიიზიდა კიდევ, ლიტვინოვი აეროპლანთაც გადაფრინდებოდა, კოსტის გამბედაობა რომ ჰქონდა. მამ ცხადია, ვისკენაა ძალა.

პირველ შეხედვით სასაცილოცაა ცნობის შემდეგ კალინინის მიმართვა ამერიკის ხალხისადმი, მე ყველაზე უხუცესი პრეზიდენტი ვარ მსოფლიოშიო, განაცხადა «სტაროსტამ» ინტერვიუში. — აი როგორ ამასხარავენ სტალინი თავის ლაქიებს! მაგრამ საყურადღებო ის არის კალინინის მიმართვაში, რომ მეორეთ უსობს ხაზს ცნობის მნიშვნელობას «საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის». იგულისხმეთ იაპონიის ალაგმვა. რუხველტი სდუმს ამ საგანზე, არც ლიტვინოვთან მოლაპარაკებიდან გამოსულა რაიმე ოფიციალური განცხადება, მაშასადამე, საიდუმლოთ ინახება.

სანამდის შეიძლება წასულიყო რუხველტი ამ მოლაპარაკების დროს? ლიტვინოვზე კითხვის დასმაც ზედმეტია, ის სამხედრო კავშირზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ ეს ხომ სრულიად გამორიცხულია ამერიკის მხრით. ჯერ ცნობის უბრალო მოლოდინმა როგორ დაუბრუა თავი სტალინს, როგორ აუწია ხმას, როგორ ესხმოდა თავს მისი პრესა იაპონიას; სამხედრო კავშირი რომ შეკრულიყო, შეიძლება თოფი თავისით გავარდნილიყო სიხარულისაგან, ან უფრო შიშისაგან შინაურ უხომო გაჭირვების და გამწარების წინაშე. ამერიკის ტრადიციაში არ შედის სამხედრო კავშირები, მხოლოდ ინგლისისგან განმათვისუფლებელ ომში მას ჰქონდა კავშირი საფრან-



გეთან, მაგრამ ისიც არაოფიციალური. დიდ ომში ხარვეს წინ არ უძლოდა არავითარი კავშირი.

მაშასადამე, დასაშვებია, რომ ამერიკა დაპირდა რუსეთს ფულით, იარაღით, დიპლომატიით დახმარებას, და ესეც დიდ რამეს ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, იაპონიის კილო შეიცვალა, ის კმაყოფილება-საც კი აცხადებს მოსკოვის ცნობისათვის! რა თქმა უნდა, ასეთი ქესტი ვერ ახდენს შთაბეჭდილებას, ხოლო ყველამ იცის, რომ იაპონია იარაღდება ხმელეთზედ, ზღვაზედ, ჰაერში. მან გამოაცხადა აზია აზიელებისათვის, უნდა მონარეს დოქტრინა განახორციელოს შორეულ აღმოსავლეთში, ამას კი ვერ შეუთრგდება ამერიკა, ჩინეთის ბაზარს მარტო იაპონიას ვერ დაანებებს. მაშასადამე, შეტაკება ამ ორ ქვეყნის შორის თითქო გარდაუვალია, ტყუილა არ გადასულა სიმძიმის ცენტრი ატლანტიკიდან დიდ და წყნარ ოკეანეში, აზიის ბედი იქ უნდა გადაწყდეს.

მაგრამ ამერიკის არაჩვეულებრივი ეკონომიური კრიზისი ხელს უკრავს რუხველტს, ასე ადვილათ ვერ გადავარდება ომის ავანტიურაში, განსხვავებაც დიდია—რას ჰკარგავს სტალინი? აქედან იბადება კითხვა, არ არის მოსალოდნელი, რომ იაპონიამ ისარგებლოს ამერიკის დღევანდელი კრიზისი და დაჰკრას რუსეთს? მან ხომ ისარგებლა ის ერთხელ ჩინეთის წინააღმდეგ და მანჯურიაც ხელთ იგდო! თუ იაპონია დარწმუნებულია, რომ უომრათ თავს ვერ დააღწევს ამერიკის მეტოქეობას, მაშინ ის ეცდება ალბათ ორ ფრონტზედ ბრძოლა თავიდან აიცილოს, ჯერ რუსეთს შეეებას, შემდეგ ამერიკას და არა ორივეს ერთათ.

აი, პრობლემა, რომელიც სდგას იაპონიის წინაშე. იქ დღეს გაბატონებულია სამხედრო წრეები, მაგრამ შეცდომაა, როცა ფიქრობენ, რომ სამოქალაქო წრეები შორს ემიჯნებიან მათ. ეს არის არსებობის კითხვა ამომავალ მზის ქვეყნისათვის, მას ახრჩობს ტერიტორიის სიმცირე, მცხოვრებნი კი მრავლდებიან შეუჩერებელი ტემპით, ციმბირის გაშლილი მიდვრები საკმაო მიმზიდავ ცდუნებას წარმოადგენს მისთვის. მაგრამ ჯერ კითხვაა ვლადივასტოკზე და ზღვის მხარეზე, რომელიც თითქო თავისით უვარდება მას ხახაში.

ამ რიგათ, მოსკოვის ზეიმი ვაშინგტონის ცნობის გამო ნაადრევია, ამით არ გამქრალა არც რეჟიმის დანგრევის, არც გარედან დაკერის საშიშროება.

ქაშის უკთიმკრობა საქართველოში კვლად და ეხლა

საქართველოში არა ქართველთა მოსახლეობა დაახლოებით ერთს მეოთხედს უდრის. ესეთი მოვლენა თანამედროვე სახელმწიფოებში ჩვეულებრივია, განსაკუთრებით იქ სადაც ერი დიდ ხანს სხვისი ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა და იძულებით გარეშეთა ჩამოსახლებას განიცდიდა. ასეთი იყო ბედი ჩვენი ქვეყნის მეცხრამეტე საუკუნეში. მაგრამ უცხო ერისანი საქართველოში წინადაც ცხოვრობდნენ; ისინი, დევნილნი თავის სამშობლოში, ერთგვარ მფარველობას ჰპოულობდნენ ქართველებში და ქართველი მეფეებრიც ამას ხელს უწყობდნენ. სომხეთის სამეფოთა დაღუპვის შემდეგ მრავალმა სომეხმა ნახა კერა ჩვენს მიწა-წყალზე. თათრები სპარსთა მძლავრობის დროიდან არიან დასახლებულნი საქართველოში. თუ როგორი კეთილი განწყობილება არსებობდა ქართველთა და ოსთა შორის, ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამას წინად, და აქედან ადვილი გასაგებია, რომ ოსებს ყოველთვის ჰქონდათ ბინა ჩვენში. ამათ გარდა არიან აფხაზები და ებრაელები, რომელთაც გარეშე ერებდა ვერ ჩავთვლით. აფხაზეთის და საქართველოს წარსული ცხოვრება ისეა გადასკვნილი ერთმანეთზე, მათი პოლიტიკურ-კულტურული თანამშრომლობა ისე ფართო იყო, ისე დიდი როლი ითამაშა ისტორიაში მათმა ერთობამ, რომ მათი ინტერესების გათიშვა და განცალკევება დღეს არც ერთს ჰკუთამყოფელს ადამიანს აზრად არ მოუვა. რაც შეეხება ებრაელებს, ძნელია მათ ვინმე ჩამოსახლებულების სახელი უწოდოს, რადგან რაც საქართველო არსებობს, ებრაელები საქართველოს მკვიდრნი არიან და სრული უფლება აქვთ. თავიანთი თავი ნამდვილ ქართველებად ჩასთვალონ.

თამამად უნდა ითქვას, რომ ქართველებს არაქართველებთან ყოველთვის კარგი, ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდათ. არავითარს ეროვნულს თუ სარწმუნოებრივ დევნას ჩვენში ადვილი არ ჰქონია. ყველამ უწყის, თუ როგორი მეგობრული განწყობილება ჰქონდათ საქართველოს მართველებს ჩვენში მცხოვრებ თურქებთან დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს და შემდეგაც, როგორ მფარველობდნენ მათ და დანათესავებნაც კი ერიოდობდნენ იმათთან. მართალია სპარსთა და ოსმალთა მძლავრობის ხანაში მაჰმადიანობის სიძულვილი გაჩნდა, მაგრამ ეს იყო პოლიტიკური ხასიათის, განუწყვეტელი ბრძოლების და მტრობის ნიადაგზე აღმოცენებული. თუ როგორი იყო უფლებრივი მდგომარეობა ებრაელებისა საქართველოში, ამისთვის დავასახელებთ ერთს დოკუმენტს: მეცამეტე საუკუნის ერთ გუჯარში ვკითხულობთ, რომ ერისთავთ ერისთავს კახას რკონის მონასტრისათვის შეუწირავს საფელი ხოვლე, «რომელი ვიყიდეთ ხოჯასშვილისაგან ნახევარი და ნახევარი ჰარონ სუმბატისძის სომხისაგან და იოსებ ბულაფაის ურისაგან». აქედან სჩანს, რომ ებრაელებს ისეთივე უფლება ჰქონია ეკონომიურ-სოციალურ სფეროში, როგორიც ქრისტიანებს.



მაგრამ ამასთანავე ისიც უდავოა, რომ თვითონ არაქართველი მკვიდრნი საქართველოს ემსახურებოდნენ ყოველთვის ერთგულად და უყურებდნენ საქართველოს როგორც ნამდვილ სამშობლოს.

ამგვარი კეთილი დამოკიდებულება სამწუხაროთ ძალიან შეიცვალა რუსების გაბატონების დღიდან, რომელთა პოლიტიკის ერთი მთავარ იარაღთან იყო კავკასიის ერების ერთმანეთზე გადამტყრება, დაპირისპირება, შექიშობა. რუსის ბიუროკრატია მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ერთი მეზობელი ერთ მეორეს წინამდევ დაეყენებია, მათში ინტერესთა წინამდევობა ჩამოეგდო, ერთგან ერთს მფარველობდა, სხვავან მეორეს მეზობლის ჩასაწინააღმდეგოდა. ასე მოიქცა საკუთრივ საქართველოშიც და არაქართველებს ქართველების საწინამდევოთ აქეზებდა, მათ იყენებდა საქართველოს დასამცირებლად და დასამორჩილებლად. ამითვე იყო გამოწვეული სხვათა შორის ის გარემოება, რომ ჯავახეთიდან მაჰმადიანი ქართველები გააძევეს და მთა ადგილებზე სომხები დასახლეს. საქართველოს ტერიტორიის მოსახლეობის აჭრელება რუსის ბიუროკრატისათვის იყო საუკეთესო საშუალება საქართველოს დაშლისა, ქართველი ერის დაუძღურებისა და გარუსებისათვის, რადგან იქ, სადაც ქართველებთან არაქართველებიც ცხოვრობდნენ, რუსიფიკატორები ყოველთვის უფრო იოლად პპოულობდნენ დასაყრდნობ წერტილს. ამავე დროს არაქართველი გარუსების პიონერიც ხდებოდა.

ბუნებრივია, რომ ამ პირობებში შესუსტდა წინანდელი ერთობა და სოლიდარობა, ერთგულობა და თანამშრომლობა...

საუბედუროდ რუსის ოკუპანტები დღესაც ამავე გზას მიყვებიან და მდგომარეობა შექმნეს კიდევ უარესი, ვიდრე იმპერატორების დროს იყო. საქართველოდან მიღებული ცნობები და იქიდან ჩამოსული პირები ერთსა და იმასვე ამბობენ, რომ ერთის მხრით გარუსების პოლიტიკა მძლავრობს თანდათან და მეორეს მხრით ქართველების და არაქართველების ურთიერთობა ღებულობს მწვევე ხასიათს, რასაც ყოველის ღონით ხელს უწყობს წითელ-რუსული ბიუროკრატია. ამ მოვლენას დროგამოშვებით ძალაუვნებურად ქართული კომუნისტური პრესაც აქცევს ყურადღებას. ვითარების დასასურათებლად მკითხველს გავაცნობთ ერთს დოკუმენტს, რომელიც მოთავსებულია «კომუნ.» 17 აგვისტოს ნუმერში. «საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისია—მუშგლენინმა, ვკითხულობთ ამ დოკუმენტში: აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორამ არ შეასრულა მუშგლენინის სახალხო კომისარიატის დადგენილება ადგილობრივი კადრებით აპარატის შევსების და რაიონებში მიწერ-მოწერის მშობლიურ ენაზე წარმოების შესახებ, რაც განსაკუთრებული სიცხადით გამოქვეყნდა სახელმწიფო ბანკის კასპის რაიონულ განყოფილებაში, სადაც თითქმის მთელი საანგარიშო აპარატი შესდგება სუსტი კვალიფიკაციის მუშაკებისაგან, რომლებმაც არ იციან ადგილობრივი ენა»... «ასეთივე სახის დამახინჯებები დაუშვეს სხვაბანკის ბათუმის,

სამტრედიის და სხვა განყოფილებებში»; დასძენს შემდეგ დოკუმენტი.

ამ დოკუმენტიდან ორი რამ ირკვევა: ერთი ისა, რომ სახელმწიფო ბანკში ტფილისში თითქმის ყველა მოხელე არაქართველებია და მთელი საქმის წარმოება, რასაკვირველია, სწარმოებს რუსულად, და მეორე ისა, რომ ამ რუსული ძალადობის, რუსიფიკაციის გამტარებელი არიან, საუბედუროდ, სომხები: საკავშირო ბანკის საქართველოს კადრების სექტორის გამგე «ამხანაგი» ვარდოიანი და კასპის განყოფილების ბუხპალტერი ანანოვი. ცხადია, რომ ასეთი ვითარება კარგს განწყობილებას ვერ შექმნის ქართველთა და არაქართველთა შორის. საქმე არ ეხება რომელსამე განაპირას, აი თუნდ აფხაზეთს, რომლის სრულს ჩამოშორებას საქართველოზე გულმოდგინედ ცთილობენ ბოლშევიკები და რომლის სინამდვილე საუცხოვოდ იყო გაშუქებული ჩვენი გამოცემის წინანდელ ნომერებში. არა, აქ საქმე ხდება თვით საქართველოს გულში. მის დედა ქალაქში და მის მახლობელ ადგილებში, და რაც უნდა ინტერნაციონალიზმ და დიდი სულგრძელობა მოთხოვით ქართველ ერს, მას არ შეუძლია მინც მწვევედ არ იგრძნოს, რომ მის მოსისხლე მტრებს გვერდში უდგანან და ეხმარებიან სომხებიც, რომლებიც უკეთ უნდა ხედავდნენ, რომ საჭიროა ქართველ-სომხთა ერთობა და არა ერთი მეორის წინამდევ გამოსვლა.

ჩვენ არ გვინდა ერთი-ორი მოვლენის გაზვიადება. მაგრამ საქართველოს აწინდელი ვითარება მრავალს ასეთს მაგალითს იძლევა. რუსის ბოლშევიკები არამც თუ ძველი რეჟიმის პოლიტიკას განაგრძობენ, არამედ უფრო შორსაც მიდიან და ყოველი საშუალებით ცთილობენ ქართველების და არაქართველების ერთმეორეზე გადამტყრებას ეს მათვის სახეიროა, ჩვენთვის დამღუპველია. ამას სჭირია კარგად ჩავერწვება...

ამაო იმის იმედი, რომ ქართველი კომუნისტები მართლა შეებრძოლებიან ამისთანა მოვლენებს. ერთი რომ მათ რა შეუძლიათ—მოსკოვის ყურბოქრილ მონებს და მაჩანჩალებს. მეორე განა რომელსამე ბოლშევიკს—ქართველია ის, თუ სხვა—შეუძლია შეიგნოს ეროვნების ფასი, ეროვნული მომენტის მნიშვნელობა, ან რაიმე წამალი დასდოს ეროვნულს საკითხს, საერთოდ გინდ კერძოთ?

ს. ციციშვილი.

კ ა ვ კ ა ს ი ა ლ ა თ უ რ მ ე თ ი

მ. ვ. რასულ ზადეხი *)

კავკასიის კონფედერაცია აკმაყოფილებს არა თუ მარტო კავკასიის ერების საჭიროებას, არამედ იგი ეგუება მისი მეზობლების სპარსეთის და თურქეთის ინტერესებს, რომელთაც ყოველთვის ემუქრება რუსეთის გაძლიერება.

მართალია ხანდახან გაიგონებთ ხმას ზოგიერთი

*) ამოღებულია წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა ფრანგულ «პრომეთე»ს ნომერის № 7-ში.

გატაცებული ახალგაზდისას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა რომანტიზმის ღრუბლები-საგან და ანგარიშს არ უწევს მწარე სინამდვილეს, ხმას აწერბეიჯანელების მიმართ მომართულს საყვედურით, რომ ჩვენ ვქადაგებთ კავკასიელთა სოლიდარობის იდეას და ვტოვებთ თურქიზმს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეების მუშაობა სწორედ ჩვენს შეხედულობას ეთანხმება.

თუ თურქეთი სდებს მეგობრობის ხელშეკრულობას საბერძნეთთან, რომელთანაც ჯერ კიდევ გუშინ ომი ჰქონდა, და თუ თურქეთი ლაპარაკობს ბალკანეთის ფედერაციაზე, რომელიც მიაჩნია აუცილებელ საპირობებად, რატომ აწერბეიჯანი არ უნდა შეუთანხმდეს საქართველოს, რომელთანაც მას ომი არასოდეს ჰქონია, და რატომ უნდა უსაყვედურონ მას, რომ კავკასიის კონფედერაციაში მონაწილეობა უნდა.

თუ თურქეთი დალატობს თურქიზმის იდეას, როდესაც ბალკანეთის ფედერაციაში შედის, დეე, ასეთივე ბრალი დაგვედვან ჩვენც აწერბეიჯანელებს!.. ჩვენ გვაქვს ჩვენი თავის რწმენა და თუ როდისმე პასუხის გაცემა დაგვჭირდება ისტორიის წინაშე, ჩვენ მართლნი არ ვიქნებით, ცხადია: ჩვენს გვერდით იქნებიან ბალკანეთის ფედერალისტი თურქებიც.

თურქიზმის უკიდურესმა დამცველებმა კარგად უწყიან, რომ აწერბეიჯანის ეროვნული მოძრაობა არასოდეს შესულა და არც შევა ისეთ კომბინაციაში, რომელიც რაიმე ვნებას მიაყენებს თურქთა მსოფლიოს კულტურულ საგანძურს საერთოდ. ამიტომაც სწორედ, რომ აწერბეიჯანი ცთილობს საბჭოთა ოკუპაციისგან განთავისუფლებას, რომელიც ხელს უშლის მას თავისუფლად ისარგებლოს ეს თურქული საგანძური. და კავკასიის კონფედერაცია არის ის საშუალება, რომელიც მოგვცემს ეროვნულს განთავისუფლებას.

იმისათვის, რომ აწერბეიჯანი დარჩეს წევრი თურქთა ოჯახისა, საჭიროა რუსეთის განდევნა კავკასიიდან და ამის განხორციელება შეიძლება, თუ კავკასიის ერები იქნებიან შეერთებულნი.

კავკასიის კონფედერაციაში აწერბეიჯანის მდგომარეობა არ იქნება ისეთი, როგორიცაა დღეს საბჭოთა რუსეთში კავკასიის კონფედერაციაში აწერბეიჯანის როლი არასოდეს პასივური არ დარჩება. ამ კავშირში ერების ურთიერთობა იქნება თავისუფალი, ძალდაუტანებელი; არავინ დაემორჩილება გარეშე გავლენას. რაც შეეხება ბუნებრივ უპირატესობას, რაიც შესაძლებელია ეკონომიურ და კულტურულ შეჯიბრების დროს, აწერბეიჯანს არაფრის ეშინია—თურქის ნიჭი და ძლიერება აქაც გამოიჩინოს თავს...

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებასაც: ყველა რუსის იმპერიალისტები, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ, მტრულად ეპყრობიან კავკასიის კონფედერაციას. რაც შეეხება სომხებს, საუბედუროდ მათ დღემდის არ გაანებეს თავი რუსეთის ორიენტაციას. სანამ ისინი ამ ორიენტა-

ციისაგან არ განთავისუფლდებიან, მანამდ კავკასიელთა კავშირის გარეშე დარჩებიან. არა ნაკლებ გასაკვირია, რომ ზოგიერთი, ვისაც თავი მოაქვს თურქიზმის მოსარჩლედ, ყურს უგდებს ჩვენი საქმის მტრების ტენდენციურ და პროვოკატორულ ჩურჩულებს და კავკასიის კონფედერაციის წინამდგეგმავებებს. მათ ურჩევდით, უკეთ ჩაუკვირდნენ ვითარებას. და თუ ფაქტებს ანგარიშს გაუწევენ, აღარ გვირჩევენ ჩვენ, რომ სინამდვილე ოცნებას შეგწიროთ.

ჩვენს საუკუნეს ახასიათებს ერთი მხრით ის, რომ ერები იბრძვიან თავიანთ დამოუკიდებლობისათვის, მეორეს მხრით, რომ სუვერენული ეროვნული სახელმწიფოები სდებენ ფედერალურ კავშირს სხვა სახელმწიფოებთან, რათა ამით უკეთესად უზრუნველჰყონ თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. ამის თვალსაჩინო მაგალითია თურქეთი. ის გუშინ თავის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, დღეს კი გამოდის ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირის მომხრედ.

აწერბეიჯანელები ყოველ ღონეს ხმარობენ თავის დამოუკიდებლობის აღსადგენად და დასაცავად და საჭიროდ სთვლიან შეუკავშირდნენ კავკასიელ მეზობლებს. ეს მათი მისწრაფება სავესებით ეთანხმება ჩვენი დროის საპირობებს და ისტორიულ აუცილებლობას. ეს ევლება ჭეშმარიტად თვით აწერბეიჯანის სასიცოცხლო ინტერესებს...

სახვოთა კავშირის ცხოვრებიდან

რკინის გზაზე.

... ბოლშევიკებს რკინის გზის მოწყობითაც სურდათ გაეწროთ ევროპისა და ამერიკისთვის და დაკვირითი წესით შეუდგენ მუშაობას. გზათა მიმოსვლის კომისარიატს სათავეში უდგენ ნდობით აღჭურვილი ბოლშევიკები და მინისტრათ ყავდათ სტალინელი რუდჰუტაკი. ბოლოს იგი შესცვალეს ახალგაზდა ას პროცენტისანი ბოლშევიკით ა. ანდრეევით. საქმეს არც მან უშველა და ტრანსპორტის საქმე კიდევ უფრო აიწეწა.

რათ მოუვიდათ ასეთი მარცხი ბოლშევიკებს? II ივლისს მომხდარ მოსკოვის რაიონის კომუნისტ რკინის გზელთა ყრილობაზე, ანდრეევმა იგი ასე ახსნა: «მიწეზი ტრანსპორტის დაცემისა, არის ის რომ ცუდათ მუშაობს ორთქმავალი, ცუდათ მუშაობს ვაგონი. ორთქმავალების გაფუჭების პროცენტი კიდევ დიდია და განშირდა აგრეთვე უვარგისი ვაგონების გზაში მოხსნა. ასეთი მდგომარეობა ქმნის რკინის გზის მოძრაობაში დეზორგანიზაციას. ეს კი გამოწვეულია იმის გამო, რომ ორთქმავალებისა და ვაგონების შეკეთება სწარმოებს ცუდათ. აჩქარებენ შეკეთებას, მისდევენ სიმრავლეს, რისგამო უშვებენ ნახევარათ ავთმყოფ ორთქმავალებს და ვაგონებს, რომელთა სახელმწიფოში ისევ დაბრუნება გვიხდება. სახელმწიფოს ხელმძღვანელები კი ასეთ მუშაობას დიდ მიღწევათ თვლიან და ამით თავი მოსწონთ».

«საიდან მოიყარა ამოდენა დიდმა ნაკლმა თავი რკინის გზის მეურნეობაში? ვინ აგებს პასუხს რკინის

გზის მეურნეობის ასეთი მდგომარეობის გამო? ვინ არის პასუხის მგებელი რკინის გზის მექანიზმის უდიდესი ნაკლოვანებათა და უწყსრივობათა გამო? კითხულობს ანდრეევი და უპასუხებს: დამნაშავენი ვართ ჩვენ რკინის გზის დარგში მომუშავე კომუნისტები და პირველ ყოვლისა პასუხი ჩვენ უნდა ვაგოთა».

სტალინის «მავნებელი» ინიცირები და ინტელიგენტები შემოვიდა და ესლა «მეისრეების» როლში თვით კომუნისტები გამოყავს და ასამართლებს. პოლიტიბუროს «გენერალურ ხაზს» 1933 წ. ეს ახასიათებს...*)

ალდა (ნიკ. ჭუმბურიძე).

ა რ ს ე ნ ა მ ა რ ა ბ დ ე ლ ი

მიხეილ ჯავახიშვილმა ერთი დიდი რომანიც უძღვნა ქართულ მწერლობას—არსენა მარაბდელი—და მით, შეგვიძლია თამამთ ვსთქვათ, რომ მან შექმნა ქართული რომანი.

ვინ არ სმენია რაჟველ მესტივირის დამღერილი არსენა ოძელაშვილი, ვინ არ დამტკბარა «ყახალ» არსენას ვაჟკაცობით, რაინდობით, ღარიბ და ქვრივობლების გამოხარჩლებით, გლახთა ამ უებარი გმირით? აი, რა გაუხდია ავტორს თავის რომანის ფაბულად, რა საგმირო საქმენი უქცევია მის კვანძად, ის ერთხელაც არ დალატობს ხალხურ არსენას, მოაქვს მთელი ტაეპები, ცდილობს გამოიყენოს ტიპები, მათი მოქმედებანი, ცხოვრების პირობები, გადმოცემანი, თქმულებანი, ერთი სიტყვით, ყველა ის მოცენტები, ხალხს რომ ასე ცოცხლათ, ხორცშესხმულათ შერჩენია მესხიერებაში. კითხულობ ექვსასი გვერდის მანძილზე და თვალს ვერ აშორებს; რაც მეტსა ფურცლავ, მით უფრო მატულობს ცნობის-მოყვარეობა, გულის ტოკვაც; ხან შიში გიპყრობს, ვაი თუ გადაიჩხვს ავტორი, ძაფი გაუწყდეს, მაგრამ არა, "ის ბოლომდის ბატონია თავის კალმის, სვამს წერტილს სწორეთ იქ, სადაც საჭირო იყო. და ეს იმიტომ, რომ არსენა მარაბდელი დამთავრებულია, ამოწურულია, როგორც ტიპი, მას სხვები უნდა მოყვნენ და წინაგაგრძობაც გაქვს, რომ ავტორი მოიყვანს მათ შემდეგ: «კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი»—ამბობს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი სულხანა, მის ბოლოს.

თუ ხელოვნურ ნაწარმოების ღირსება იმაში მდგომარეობს, პირველ ყოვლისა, რომ მკითხველის გრძნობას მისწვდეს, ავემოს მას მაღალი და სპეტაკი განცდანი, გააღვიძოს მასში კეთილის ტრფიალება და ბოროტის სიძულვილი,—ავტორი სავსებით აღწევს ამ ეფექტს. მაგრამ ის ამასაც არ სჯერდება, უფრო შორს მიდის, აქვს სახელმძღვანელო იდეაც, შეგნებული ტენდენცია; შეგვიძლიათ არ დაეთანხმეთ, მაგრამ არ შეგვიძლიათ ანგარიში არ გაუწიოთ.

რომანი გადავიგვიშლის საქართველოს ვითარებას გასულ საუკუნის მე-30 წლებში, როცა რუსეთის მმა

რთველობა საქმათ გამტკიცებულია იქ და თვით-მპყრობელობა კიდევ სარგებლობს, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან პლაცდარმიდან გაავრცელოს თავისი ბატონობა დღევანდელ აზერბეიჯანზე, მთაზე, მესხეთზე და იმარჯვებს მისი იარაღი სპარსეთზე და ეს-მალეთზე.

განსაკუთრებულია როლი ქართველ თავად-ახნაურობისა, უფრო სწორათ—დიდი მემამულე თავადებისა ამ ომებში, ისინი უკვე რუსულ სამხედრო მუნიციპალიტეტებში ჩამსხდარან, მკერდი ჯვარ-მენდლებით დამშვენებული აქვთ, რუსულათ ლაპარაკობენ, ზოგნი ფრანგულათაც, და ვინც მამა-პაპურათ განაგრძობენ ცხოვრებას, ისინიც ჩიქორთულობენ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს თავადნი სინიდი-სის ქენჯნისგან სრულიად თავისუფალნი არიან, მაგრამ გასამართლებელი საბუთიც მოაქვთ: ლეკებმა არ დაგვინდეს წარსულში, ყიზილბაშებმა (სპარსეთი) და თურქებმა ხომ სული ამოგვანდინეს,—მაშ ჩვენც მაგიერს ვუხდითო—იმართლებენ თავს. მარათალია, ამას მოჰყვება, მაგ. მესხეთში, ძმების მიერ—ქრისტიან და მამადიანი ქართველთა—ურთიერთის სისხლის დაღვრა და, როგორც შედეგი, მესხეთის დაცლა ქართველებისგან და მათ მაგიერ სომეხ ლტოლვილთა მასიური ჩამოსახლება, მაგრამ ამ უბედურებასაც არ ეპუებიან თავადნი: რუსის ხელმწიფე დაპირდა დიდ ერეკლეს დაკარგულ სამფლობელოთ დაგიბრუნებო და ესლა კიდევ ასრულებსო.

როგორია გლეხობის მონაწილეობა ამ ომებში? სავალალო, შემადრწუნებელი, შეიძლება ითქვას. მას დააწვა კისერზედ მძიმე ულელი, ართმევენ სურსათს ეგზეკუციებით, აზიდვინებენ თავის ხარკამეჩით ამ სურსათს რუსის ჯარებისთვის ყველა მიმართულებით. დამშუულ ხალხს ეუბნებიან ბალახი სჭამეთო—მთავარი საჩივარი აჯანყებულ კახეთისა; იწვიათია შემთხვევა, როცა ხარკამეჩი ცოცხალი ბრუნდება, მათ მაგიერ გლეხებს, თვით დედაკაცებს აბამენ ულელში ზოგიერთნი მებატონენი; კიდევ უფრო იწვიათია ურმების შინ დაბრუნება, ტყეში ახალ ურმების გასაკეთებელ მასალას ვერ ვპოულობთო—სჩივიან თრიალეთ-ბორჩალოს ადგილებზე ულელისა.

იხე მკაცრათ, იხე რეალურათ არის აწერილი გლეხის ვაება, რუსეთის მფლობელობის მთელი ჯოჯოხეთი, რომ არ გვერა, როგორ და რა თილისმით დააწვია გლეხობამ თავი ცოცხალი. მაგრამ, როცა გახსენდება დღევანდელი მისი მდგომარეობა იმავე რუსების, მხოლოდ «სოციალიზმის» უმარულით, უარესი მძინვარება, გვერა, ათასჯერ გვერა, რომ გლეხობა ყველაზე გამძლე ელემენტია ჩვენს ერში, რიცხვით დიდი უმრავლესობა, ისან ნუგეში და იმედით მომავლისა. და აქ თქვენ ხედავთ რომანის ერთ კვანძს: რუსეთის თვითმპყრობელობის ინტერესი გადაბმულია ქართველ თავადების ინტერესებზე, ისინი სოლიდარულათ აზროვნებენ და მოქმედებენ, პირველი უმარებს ზურგს მეორეთ ყმებზე ბატონობის განმტკიცებაში. ბატონ-ყმობა რუსებმა შემოიღეს საქართველოშიო—ამბობენ რომანტიკი თავადები. ეს არა სჯერა ავტორს და მისი აზრის გამომთქმელია ახალგაზნად დიმიტრი ყიფიანი, მაგრამ ბატონის ულე-

*) ეს ნაწყვეტი დაგვრჩა განსვენებული ნ. ჭუმბურიძის სიკვდილის შემდეგ. რ. ე. დ.



ლი ერთი ორათ უფრო მძიმე რომ გამხდარა, რუსეთის მეოხებით, ეს ყველასათვის აშკარაა, რა თქმა უნდა.

ამის ცოცხალ სურათს იძლევა არსენას «გაყაჩაღების» სათავე და ესაა რუსული როზგი, ეგზეკუცია, ცეცხლი, დარბევა, ქალთა ნაშუსის ახდა მარაბდაში. ჩვენ ვართ ზაალ ბარათაშვილის მამულში. ვესწრებით მის სტუმარმოყვარეობას, ქეიფს, აშიყობას, ყმა არსენას პირველ გამოქურტობას ზაალის მოახლე მარინესთან, მეორე მოახლის, არსენას და ფიქრიაზე, რუსის მაიორ არლოვის თვალის დაჭერას, არა, მას უნდა ხელში ჩაიგდოს ერთი და მეორე მოახლეც... მაგრამ ეს თვითონ უნდა წაიკითხოთ, რომ ჩასწვდეთ ამ ორ გაუფუფრებელ არსების ტრალედიას. და ეს არლოვი, მებატონე ზაალის თხოვნით, აჩვენებს მარაბდელ გლეხებს რუსის რისხვას. გლეხები ჩამწკრივებული არიან ორ რიგად. ერთში არსენაა, ხოლო მეორეში მისი მამა ხეთისავარ, ცალთვალა მედროშე, მგლად წოდებული, რომელსაც არა ერთხელ გადაურჩენია მისი ბატონი სიკვდილისგან. როგორ უნდის მას ზაალი? მისი შვილი, ნიუგეგორდის დრავუნის მუნდირში გამოპრანჭული, დავითი მათრახს გადააფარს არსენას, მის ძუძუმძეს, და უკანასკნელი მხოლოდ გაახსენებს ჩემი დედის ძუძუ გიწოვიო. წარმოუდგენელი რამ ხდება—არსენა ითმენს მათრახს, პირველათ, უკანასკნელათ თავის სიცოცხლეში, და ეს იმიტომ, რომ დავითი მისი ძუძუმძეა. მეორე ხდინა... ხეთისავარის რიგს, სად? ცხრა ძმა ხერხეულიძეთა საფლავზე! ურტყამენ როზგს, ყაზახი მილიციონერს სცვლის, მილიციონერი—საღდათს, ბოლო არ უჩანს, გამოტოვნი ღრიალებენ, მხოლოდ ხეთისავარს სახრე პირში გაურჭვია, ღრღინის გამწვარებით, რომ არ დაიდრიალოს, არ შერცხვეს. მეორე რიგი გაშეშებულია, არსენა სახტათ დარჩენილა, ხელი მოდუნებია, მას და სხვებს საჯინიბოში ამწყვდევენ, რომ მეორე დღეს არლოვმა მათთაც აჩვენოს რუს ხელმწიფის ძლიერება... არსენას იმ დამსვე აპარებს მისი ქალ-ვაჟა და ფიქრია და იწყება მისი «ყაჩაღობა», გმირობა, პოპულიარობა ხალხში და სხ. ერთიც უნდა შევნიშნოთ, როზგამდე საჯარო კამათი იყო მამა და შვილ შორის: ხეთისავარი ამტიკცებდა მორჩილებას, არსენა ურჩობას, ეს დიალოგი მარაბდელ გლეხთა წინაშე რომანის საუკეთესო ადგილია, შვილი სჯობნის მამას, შედეგი—როზგი და სწორეთ მის ქვეშ გაიძახის ხეთისავარ ახია ჩემხეო, სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი—ეს მე თვითონ ვასწავლე ჩემს შვილს და უკუღმა მოვიქციეო.

მაგრამ აქ იქსოვის რომანის მეორე კვანძიც: 1832 წლის შეთქმულება ქართველ თავდათა, და უნდა ითქვას, მიხეილ ჯავახიშვილის არსენა მარაბდელი მშვენიერი თავიუღლია ამ ამბის ასი წლის თავზე. ჩვენ არ შევუდგებით მის მოყოლას, შორს წაგვიყვანდა, ადგილიც არაა ამისათვის და ვიტყვით მხოლოდ, რომ, გარდა რომანისა, მკითხველს შეუძლია მიმართოს «კავკასიონს», რომლის უკანასკნელი, გადიდებული გამოცემა სწორეთ 1832 წ. შეთქმულობისთვის მიუძღვნიათ ის ავტორებს. ჩვენ ვეცნობით რომან-

ში შეთქმულებს: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, იასე ფალავანდიშვილს—გამცემს, სოლომონ დოლაშვილს, ბერ ფილადელფოს კიკნაძეს და სხ. მათ მიზნად დაუსახავთ საქართველოს განთავისუფლება, აქვთ წესდებაც «ექტი გონიერად», არიან სამზადისში; პოლონეთის აჯანყება ერთგვარი მუჯღლუგუნია მათთვის, ნაპოლეონის მიერ მოსკოვის აღება ერთგვარი საბუთია რუსეთის დამარცხების შესაძლებლობისა, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის, მისი წინამორბედის ვოლტერის იდეებიც ტრიალებს, თუმცა არეულათ, მათ თავში. მაგრამ არის რეალური გარემოებანიც: ომი სპარსეთთან, ოსმალეთთან, ალექსანდრე ბატონიშვილის მათ ბანაკში ყოფნა, რატომ არ შეიძლება რუსეთის დამარცხდეს, ნიკოლოზ პირველის ტახტიც რომ არც ისე ურყევია, დეკაბრისტების გამოხსლა სხვას რას ნიშნავს?

დიახ, რომანტიკ თავადებს საქართველოს აღდგენა სურთ, სურთ აღადგინონ ბაგრატივანთა სამეფოც, ამაზე ზრუნავენ, გარდა უკვე მოხუც ლომგულა ალექსანდრესი, მისი ძმები, ბატონიშვილები, რუსეთში რომ გადასახლდეს. და აქ საინტერესოა ბერი ფილადელფოს კიკნაძის როლი, ის გზირია ამ ბატონიშვილების, ძაფი, კავშირი ქართველ თავადებთან. ჩვენ ვხედავთ აქ ქართველ სამღვდელთა შუამავლობას თავადთა და ხალხ შორის; ის მონაწილეობას იღებს, ხან მეთაურობს აჯანყებას, მაგ., იმერეთში, მაგრამ მისი იდეალი თავადებისა არ ვასცილებია: მეფის და კათალიკოსის ტახტის აღდგენას. ფრიად საინტერესო ტიპია დათუნა ბარნაველი თვით მარაბდაში, მისი მამა ზაალის მოძღვარია, ბაბუა—ალექსანდრე ბატონიშვილის მოძღვარია სპარსეთში, ბრუნდება მისი დავალებით და არლოვი ჩამოკიდებს სახრჩობელაზე. დათუნას «სულერთიას» ეძახიან, რატომ? იმიტომ, რომ, სულ ოცნებაშია, როდის დაბრუნდება და გამეფდება ალექსანდრე ბატონიშვილი, იმდენათ შორსაა სინამდვილიდან, რომ თავის სატრფიალო ფიქრიასაც ვერ ამჩნევს, ვფხვვის ტყაოსნის ხელით ვადაწერით ირთობს თავს. მაგრამ, ნუ დაივიწყებთ, ის არსენას მეგობარია და, თუ რამე იცის არსენამ, უმთავრესათ დათუნასაგან იცის.

არის ერთი სიმბატორი თავადიც შალვა ბარათაშვილი; დამოუკიდებელი მეფის ნაცვალთაგან, ლმობიერი ყმებისადმი, მარაბდლების გაროზგვას ვერ უძლებს, გარბის, არსენას კარგათ იცნობს, აფასებს, მის მშობლებს ერთხელ კიდევ იხსნის არლოვის კლანჭებისაგან; და აი ეს თავადი; ბერი კიკნაძესთან ერთათ, ცდილობს არსენას სახელის და სიზამაკის გამოყენებას შეთქმულობისათვის. ესლა დაუგდეთ ყური თავად შალვას, როგორ ახსნიათებს არსენას, სადღეგებელის სახით: «სანამ ტყეში არ გავაზრდებოდი. ბეგრი არავინ ვიცნობდა. ამბობდენ, სანაქებო მოჰიდავეა, განთქმული მოჯირითე, კარგი მოხადირე და გულმართალი ვაქკაციო, ესლა კი საქართველოში კაცს ვერ ნახავ, რომ ჭკუუსაც, პატიონებასაც და სინიდისსაც არ ვიქებდეს, საითაც ვი ვიხედავ, ყველა შენზე ლაპარაკობს, გლეხობას კი ამ ქვეყნად ჩამოსულ ღმერთად მიიჩნის. ყველა ხა-



ტები დაივიწყეს და შენწელა ლოცულობენ. ისიც კარგად იცი, რომ სხვა წოდებათა შორისაც ბევრი დამხმარე გავიჩნდა. ახნაურობა თითქმის სულ შენს მხარეზეა და შენი ვაჟკაცობის დამფასებელი თავადებიც იშოვება. რალა შორს წავიდე, მეც შენი მეგობარი და მფარველი ვარ. მე ესლა ვისურვებ შენი მზხვეპილი სახელი საქართველოსთვის მიგედვნას და გლეხობის გარდა სხვებზედაც გეზრუნოს. მარტო გლეხები ვერას განდებით».

«ჰაი, ჰაი, რომ ვერას გავხდებით,—დაუმოწმა სმენად—გადაქცეულმა მარაბდელმა და ცოტა წინ მიიწია».

«ლელოს ვერც მარტო ჩვენ გავიტანთ,—განაგრძო შალვამ. საერთო მტერს საერთო ძალით უნდა შევეუტიოთ. ესლა რუსი სულ იმას სცდილობს, რომ თავად-ახნაურთა და გლეხთა შორის შუღლი დასთესოს, ერთმანეთს გადაგვიკიდოს და საერთო საქმე ჩავგიფუშოს...»

სადღეგრძელო დალიეს, ბერმა ამინიც დააყოლა, ხოლო არსენა მარაბდელი არას ამბობს. შესანიშნავი სცენაა, შალვა და ბერი ფიქრობენ, ალბათ ვერ გაიგოვო. «ძალიან კარგათაც გავიგე—წამოიძახებს არსენა—ამბობთ, საქართველო განვათავისუფლოთო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რისთვის და ვისთვის?» ესლა შალვა და ბერი ვერ გებულობენ. «ვერ გავიგეთ და გაგაგებინეთ და პირდაპირ მიახალა არსენამ: ბატონ-ყმობაზე რას იტყვი? ისევ დარჩება?» აქ კი შალვა და ბერი ისე გაოცდნენ, «თითქო მარაბდელი რალაც თილისმით სხვა კაცად გადაქცეულიყო, აირივნენ და ალუღლოდნენ: ბატონ-ყმობა? მამ უბატონოთ როგორ შეიძლება? სად გავინილა?» უსწავლელი არსენა «ნაპალევანს» იმოწმებს, რომლის ამაღაში თავისი დეიდაშვილი მამელიუკი რუსტემი ეგულება, «მამ ფრანგისტანში ისევ ბატონ-ყმობა დარჩა?»—კითხულობს ის. არ დარჩა, მიუგებს თავადი მაგრამ რაც ფრანციას არგებს, ჩვენ არ გვარგებსო. «გვარგებს!—ისევ დაუქინა ოძელაშვილმა—ისევ გვარგებს, რომ მზე მალლა იყო!» არსენა მზათა გამოვიდეს მთელი გლეხობით ქვეყნის განსათავისუფლებლათ, მაგრამ ეროვნულ ბორკილებთან ბატონ-ყმობის ბორკილებიც უნდა დაიღწეოსო. «უამისოთ ჩვენი საქმე ვერ გარიგდების, დამიჯგრეთ, ვერ გარიგდების მეთქი! და აშვერილი თითი ჰაერში შერჩა» მარაბდელს. შალვამ ბერს გაიხანცა და უთხრა: «არსენამ ორმოციოდე წლით დაიგვიანა. ფრანციკული შფოთი სწორეთ იმიტომ ატყდა, რომ ძმობა, ერთობა და თავისუფლება გვინდაო». «ვენაცვალე იმათ ღმერთსა!—წამოიძახა არსენამ. მეც ეგ მიწერია დროშაზე. არც კი ვიცოდი და ისე დავაწერე».

«შეესვლება თუ არა მდაბიოს თქვენს ძმობაში?»—კითხულობს არსენა, რომელმაც თვალი გადაავლო ერთხელ ბერი ფილადელფოსის «აქტს გონიერს», როცა ის ყაჩაღების ტყვეობიდან იხსნა. შალვა და ბერი გაშეშდნენ, შეთქმულობა დიდი საიდუმლოება იყო, როგორ ენდონ «მდაბიო» არსენას და სიტყვას ბანზე უგდებენ: «მოვიფიქრებთ, ჯერ არასფერი არ არისო». და ბოლოს შალვა მიუბრუნდება არსენას: «მამ ვერ მოვრიგდებით? არსენა გაჯიქდა: ვერა, შენი

ჭირი მე, ვერ მოვრიგდებით. რაც არ იქნების, არ იქნების».

ამონაწერი გავიგრძელოდა, მაგრამ მკითხველი არ ინანებს, იმედია. მის თვალწინ იშლება ის სოციალური წინააღმდეგობა, ის ორმო, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავა რუსეთის მფლობელობამ ბატონსა და ყმას შორის, ისინი ერთათ ვერ ჩაებმიან ქვეყნის განთავისუფლების ფერხულში და ცალ-ცალკე კი ორივენი უნდა დამარცხდნენ, ასეთია ცხოვრების უღმობელი კანონი.

შენთქმულობა გაცემულია, შეთქმულნი დააპატიმრეს და რუსეთში გადასახლეს სხვადასხვა ვადით. გლეხებზე, ან უკეთ—ყმებზე ამას დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, ბევრმა არც კი იცის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინიც არ ლელავენ, არ ჯანყობენ, ეგნეკუციებს და სხვა რეპრესიებს არ გემულობენ. ბევრია სტიქია მათ მოძრაობაში, მოტივები ორივეა, ეროვნული და სოციალურიც, მხოლოდ გარკვევით არც ერთი. მათ მეთაურს არსენას კი ესმის, გავინილს, ყურმოკრულ ფრანკს «ნაპალევანზე», «პუგაჩოვზე» თავის საკუთარ ფილოსოფიას აბამს. ერის საქმე? მზათა თავი გასწიროს, მაგრამ ყმის საქმე? ამაში სწავლულნი არ გაყვებიან, უსწავლელმა რა უნდა გავაკეთო—ამბობს გუნებაში არსენა—და წერილს უგზავნის, ახალციხელ ბერის საშუალებით, ლონდონში, თავის დეიდაშვილს რუსტემს, მონი და გავინძეხიო. მაგრამ უკანასკნელს სასაცილოთ არ ყოფნის ეს...

არსენა იძულებულია თვითონვე ჩაუდგეს გლეხობას სათავეში და იერიში მიიტანოს როგორც ბატონზე, ისე რუს ხელმწიფეზე. ამის საბაბს მეფის ნაცვალნი პასკევიჩი იძლევა, სალდათობა უნდა შემოვიღოვო. აღლევებული ჯარი—გლეხები ქალაქისკენ მილაჯებენ, პასკევიჩი შეშინდა—ბრძანება უკან მიაქვს და თავადები შუაკაცობას კისრულობენ მოზღვავებულ გლეხთა წინაშე: რამ გადაგრიათ—უებნებან გლეხებს—, სალდათობა ვილაც მოვლის ნაჯღანში ყოფილა, პასკევიჩი მილოციას მოგვთხოვს ოსმალეთის წინააღმდეგო. გლეხები შეყოყმანდნენ, გაახსენდათ ყიზილბაშის და თურქის თარეში, კეტები ძირს დაუშვეს, უკან იწყებენ დენას. მათი წინამძღოლი არსენა ამათ ხარჯავს სიტყვას, არ უგონებენ, მაშინ მათრახით დაერევა «უგუნურთ, მშინართათ», გლეხები არ იგერებენ, ღიმილით უპასუხებენ. მათ რიგშია ხვთისავარიც, მაგრამ ის არ ილიმება, სასოწარკვეთილი შეყურებს დამარცხებულ შვილს: მარაბდაში შვილმა აჯობა, ესლა მამა სჯობნის, მაგრამ ვაი ასეთ ჯობნას. ამის შემდეგ, იმავე ხაალ ბართაშვილის მოთხოვნით, ესლა უკვე უანდარმის პოლკოვნიკმა არლოვმა, რომელმაც თავადის ქალი დანიშნა, გააუპატიურა და მიატოვა, ამის გამოსასყიდლათ ხვთისავარს ცოლ-შვილით ციმბირში უკრა თავი.

ჩვენ მეტათ დაინახეთ არსენას ყაჩაღობაზე, ან უკეთ—ყოჩაღობაზე შეჩერება, დაახლოებით იგივეა ნამბობი, რაც ხალხურ არსენა ოძელაშვილში. არსენა გაუბრის ადამიანის სისხლის დაქცევას, თუმცა უნებურათ ამასაც ვერ აცდა, როცა, მაგ., ახალციხე-



ში მომხდომ რუსებს იგერიებდა, ან კიდევ როცა არ-
ლოვს და მის ჯაშუშ გიგოლას ჰკლავდა. თვითონაც
ხომ ურიადნიკ კუჭანტელის მსხვერპლი გახდა, ხმა-
ლი ყუაში გადაუტყდა და კუჭანტელის კაცმა დამ-
ბჩა უქნიდა და დახალა. არსენას ძმად-ნაფიცებში,
გარდა ქართველებისა, ჩვენ ვხვდებით თათარს დალი
ჰასანს, ოსს მეშთას, სომეხს ბალოს, კოჭლ რუს კარ-
პინს, უკრაინელს ოსტაპს. ამით გვანიშნებს ავტორი,
რომ ყმები ერთთ არიან ბატონის წინააღმდეგ, თუ-
გინდ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ მათ
ყველას ესმის ქართული! არსენას ცოლი მარინე უკი-
თხავს მათ ულრან ტყეში ყარაშანიანს, ვეფხის ტყა-
ლანს...

ორ დამარცხებას ორი სხვადასხვა ბოლო მოს-
დევს. შეთქმულნი უმეტესათ დააბრუნეს რუსეთი-
დან. დააწინაურეს კიდევ, ზოგი გუბერნატორია, ზოგიც
ბრიგადის უფროსი, სხვები კიდევ პოეტობენ და სხ.
მეფის ნაცვლებად ერმოლოვი და პასკევიჩი არ არიან,
მოდის თავიდი ვორონცოვი. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან
დიდი ნადიმია გამართული ამის გა-
მა, იქ არიან ყველანი, ზალიც თავის ყურთ-მაჯგებ-
ში—გაგონილა ეს, ვეჟო!—გაიძახის ის, ხელმწიფეს
უბუნტეთ და მან კი დაგაჯილდოვათ! იქ ბრწყინავენ
ალექსანდრეს ქალიშვილები: სამეგრელოს მთავარის
ცოლი ეკატერინე და გრიბოედოვის ქვრივი ნინო...
სტუმრები მასლათში არიან, მსახური იძახის მეფის
ნაცვალი მობრძანებელ, მასპინძელი ალექსანდრე
წინ ეგებება...

მარაბდაშიც ლხინია. ხვთისავარის ჯალაბოზა
გამრავლებულა, თუმცა თვითონ და მისი ცოლი მე-
ლანო ციმბირში გარდაიცვალენ. ეს ამბავი მოაქვთ
იქიდან დაბრუნებულთ როსტომს და ზურას, სუფ-
რაც მათთვის გაუშლიათ. გმირი არსენაც არ არის,
მაგრამ მის ცოლს მარინეს სამი შვილი დაუზრდია,
უფროსი ზედგამოჭრილი მამაა, ამიტომ სახელოსაც
მისას ატარებს. ლხინს შაირები მოჰყვება, რომელ-
შიც მუქარა ისმის: «შეგვამთ! გადაუხდით! დავლე-
წავთ!» არსენას ვაჟი სულხანს მიადგა: «მამა-ჩემის
დროშა შენა გაქვს და მომეცი. კვიცი გვარზე ხტი-
სო»—ლიმილით უპასუხებს სულხანა.

გუშაგი.

**ინტერნაციონალური მდგომარეობა
ერთა ლიგის შრილობაზე**

(წვრილი შენევიდან)

ძალიან დაწინაურდა საერთაშორისო მდგომარეო-
ბის ძაფები. საქმარისია სულ პატარა მარცხი ამ ძა-
ფებზე რომელიმე მოთამაშის, რომ ესენი ერთიანთ
დაწყდეს. ამის შიშშია ვეროპის მთავრობები და
სწორეთ ამით აიხსნება მათი სასოფარკვეთილება და
უგზო უკვლოთ ხეტიალი.

არასოდეს ასე ძლიერათ სილაჩრე არ შეჭრილა
სახოგადო მოღვაწეობაში და ასე საერთო ხასიათი
არასოდეს არ მიუღია. თუ წინეთ ის დამკვიდრდე-
ბოდა რომელსამე ქვეყანაში რეაქციის გამეფების
გამო, იმ ქვეყნის ჩარჩოში რჩებოდა და საერთაშო-

რისი დამოკიდებულებაში ნიადაგს ვერ პოულობ-
და. მართალია, იყო ერთი მოკლე ხანა ისტორიაში
—«სამღვთო კავშირისა», როცა ასეთი სულიკვეთე-
ბა სუფევდა, მარა ფართო ხასიათი არც მას მიუღია,
განსაზღვრულ წრეებში შეიზღუდა. დღეს კი მთელი
ინტერნაციონალური ატმოსფერა სილაჩრის სული-
თაა გაქლენთილი. ამიტომაც არასოდეს კეთილი გან-
ზრახვები ამ ზომამდე გაუბედავი არ ყოფილა. არვის
ვაწყენოთ, არავინ შეგაწუხოთ, ყველასთან კარგად
ვიყოთ და ასე მშვიდობიანობის სამოთხეს დაეარ-
სებთო—მეუგნებელ ვგოისტურათ ფიქრობენ პოლი-
ტიკოსები. მათ ავიწყდებათ, რომ მარტო ქადაგების
ძალაზე დაყრდნობამ დაღუპა რუსეთის რევოლუცია
და იქ თავისუფლების ალაგას საშინელი ძალმომრე-
ობა გაამეფა. ასეთივე მოქადაგები მართავდნენ იტა-
ლიას, როცა ბოლშევიკების მიმდევრებმა მოსკოვი-
დან ჩაგონებულ პროვოკაციებს მიყვეს ხელი, ბო-
როტებას განუკითხავათ სხადიოდენ. ამით ხალხში
რეაქცია გამოიწვიეს და ასე ფაშისში ტახტზე შეას-
კუპეს. ბოლშევიკებთან არშიობამ გერმანიის დე-
მოკრატიასაც შავი ბედი არგუნა: ის გაისრისა და
მისი მედროშენი, რომლებიც გუშინ ქვეყანას განა-
გებდნენ, დღეს დენვას განიცდიან და საზღვარ გარეთ
ემქებენ თავშესაფარს. გადაუჩრჩებიან ამ მოვლენას ის
ქვეყნები, რომელთაც კიდევ შერჩენიათ თავისუფ-
ლება? ჩაუვლის ზოგ მათგანს დაუსჯელათ ქება დი-
დება—რაგინდ მოსაზრებითაც იყოს ის—იმითი, ვი-
საც ისინი გუშინ საშინლათ კიცხავდნენ და ყოველი-
ვე ბოროტების წყაროთ სთვლიდენ? არა გგონია...

ერთა ლიგის ყრილობა წელს შესდგა არა 4 სექ-
ტემბერს, პირველ ორშაბათს, როგორც ეს ჩვეულე-
ბრივთ ხდებოდა, არამედ 25-ს. რატომ? იმიტომ,
რომ დიდი სახელმწიფოები განიარაღების კონფერე-
ნციის შეწყვეტისას ფიქრობდნენ. ამ დრომდი დიპ-
ლომატური გზით იპოვნიდნენ შეთანხმების ნიადაგს,
რომ ერთა ლიგის შეკრების ადრე კვლავ მოეწვიათ
კონფერენცია კონვენციის შესამუშავებლათ, რომე-
ლსაც შემდეგ დიდი ზეიმით წარუდგენდნენ ერთა ლი-
გის ყრილობას!

ტკბილი ოცნებაც კარგია, თუ მას უმოწყალო
სისწრაფით მწარე სინამდვილე არ მოსდევს. მართ-
ლაც, არამც თუ 25 სექტემბრამდის განიარაღებაზე
ვერ შეთანხმდენ, არამედ საერთაშორისო მდგომარე-
ობა ისე გართულდა ამ ხნის განმავლობაში, რომ
სადისკუსიოთ დანიშნული სხდომა რამოდენიმეჯერ
გადადევს. რადგან ორატორების კრიზისი დადგა და
დებატები მხოლოდ 28 სექტემბერს დაიწყო ჯონ სე-
იმონის ზოგად, ყოველად უშინაარსო სიტყვით.

სიმპტომატურია პატარა ტანის კაცების ასპა-
რეზზე გამოსვლა. ცნობილია, ცუხარი, ნაპოლეონი,
საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის დამაარსებელი
ტიერი პატარა ტანის კაცნი იყვნენ. ავსტრიის კანც-
ლერი დოლფუსი კიდევ უფრო პატარაა. ამ პატარა
ახალგაზდა კაცმა მოთოკა ძლიერი მობოლშევიჩანო
სოციალისტური პარტია თავისი გამოცდილი ლი-
დერებით, პარტია, რომელიც მუდამ «ანშლუხს» გა-
იძახოდა და რომელიც ეხლა უცბათ დოლფუსის
მიერ წამოყენებულ «დამოუკიდებლობისა და თავი-

სუფლების» ლოზუნგში ერთად ერთ ხსნას ხედავს! ამ ლოზუნგით საფრანგეთის გულიც მოიგო და მისი ნივთიერი დახმარება უზრუნველ ჰყო. რომის თანაგრძნობა ხომ ჰქონდა ფაშისტური სისტემის შემოღებით.

რასაკვირვლია, მოუთმენლათ მოვლოდენ ამ ახალგაზდა და მხიარულ სახის კაცის გამოსვლას ჯონ საიმონის შემდეგ. მან მოლოდინს კიდევ გადააჭარბა თავის მოკლე, მკაფიო და ფრიალ შინაარსიან სიტყვით, სადაც ხაზგასმით განაცხადა, ავსტრია თავის «დამოუკიდებლობას და თავისუფლებას არასოდეს დასთმობს». მერე ვის მოეწონა ყველაზე უფრო ეს კატეგორიული განცხადება? ყველა იმ უპრინციპო «მემარცხენებს», რომელნიც გუშინ სრულებით წინააღმდეგს გაიძახოდნენ და ვერსალის ხელშეკრულობის დამხობას ლამობდნენ! ახლა კი ამ ხელშეკრულობას ეპოტინებიან, მის გამაგრებას ცდილობენ...

არც პ. ბონკურია დიდი ტანის. ჩვეულების წინააღმდეგ და მიუხედავად თავის წარმტაც მჭერმეტყველობისა, მან პატარა განცხადება გააკეთა. მოკლე სიტყვის თქმა დაუწყავლია. ეს რასაკვირვლია უტყუარი ნიშანია ზოგი ცვლილებების...

ამავე პლენალურ სხდომაზე ჰაიტის დელეგატმა ფრანგულისმა შეიტანა და დაასაბუთა რეზოლუცია, რომელიც ჩვენ მონტრეში ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების ინტერნაციონალურ კავშირის კონგრესზე მივიღეთ წარსულ ივნისში შესახებ ადამიანის უფლებებისა. მან მოითხოვა, გადასცემოდა ეს რეზოლუცია კომპეტენტურ კომისიას შესასწავლათ. რეზოლუციის მიზანია, ერთა ლიგამ მოიწვიოს მთავრობათა სპეციალური კონფერენცია (არა წევრთა მიწვევით) კონვენციის შესამუშავებლათ. სამწუხაროა, რეგლამენტის ზოგი ფორმალური მხარე აღარ აღმოჩნდა დაცული რეზოლუციის წარდგენაში და ამიტომ კომისიაში არ გაუშვა დღის წესრიგის კომისიამ. სამაგიეროდ იმავე ფრანგულისმა ისარგებლა მეექვსე კომისიაში ეროვნულ უმცირესობის ირგვლივ გაჩაღებული დისკუსიები, რათა ერთხელ კიდევ მიექცია დელეგატების ყურადღება ხსენებულ უფლებების ინტერნაციონალურ მამულებში გამოქვეყნების საჭიროებაზე. ვინაიდან ეს წინადადება ყურდნობა საფრანგეთის რეზოლუციის «ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას», არ შეიძლება ის არ მოხვედროდა ფრანგ დელეგატ ბერანეს გულს, რომელმაც რამოდენიმე მხარი დაუჭირა მას და შეიტანა წინადადება, ყრილობამ გააკეთოს ამის შესახებ ერთნაირი განცხადება. მარა სამწუხაროა ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება და საკითხი მომავალ წლის ყრილობაზე კვლავ დისკუსიება.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა დელეგატებზე მშვიდობიანობის ინტერნაციონალურ ბიუროს მიერ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე დალადიესათვის მიმართულმა, პრესაში გამოქვეყნებულ წერილმა საქართველოს შესახებ. განსაკუთრებით კი იმ ადგილმა, სადაც ნათქვამია, როგორ შეიძლება წარმოვი-

დგინოთ მშვიდობიანობა, როცა უფლება და ხელშეკრულება ფესქვეშ გათელილია?

ევროპიურ კომისიაში მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კრიზისმა რამოდენიმე იკლო. მაგ. ამ წლის აპრილიდან ივლისამდე სტატისტიკური ცნობებიდან ხსანს, რომ გასულ წლის იმავე პერიოდზე შედარებით 70 მილიონი ოქროს დოლარით მეტია მსოფლიო ეკონომიაში ვაჭრობა, რომ ინდუსტრიალურ დარგებში უმუშევართა რიცხვმა საგრძნობლათ დაიკლო ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში და ბელგიაში. მარა ეს კიდევ არ იძლევა საკმარის საბუთს რაიმე ოპტიმისტური დასკვნისათვის.

დასასრულ განსაკუთრებით უნდა შევნიშნო სპანიის წარმომადგენელ მადარიაგას გამოსვლის შესახებ, რომელმაც პაქტებს ბუნებრივად უწოდა საშინელი «ინფლაცია». ნამეტანი გამრავლებით ამ «პაქტებმა» სრულიად დაკარგეს ის მნიშვნელობა, რომელსაც წინეთ მათი ავტორები აწერდნენ და, თუ სამასხაროდ არ გადაქცეულან, სულ წინააღმდეგი ხასიათი მიიღეს. ეს იმითაც მტკიცდება, რომ რაც უფრო გახშირეს მათი დადება, მით უფრო იმატა ომის საშიშროებამ, რომ ეს «თავდაუსხმელობის პაქტები» სწორედ თავდასხმის, ომის სიმბოლოთ გადაიქცენ და წარმოდგენენ სინამდვილეში ბაზას საომრად მომზადებულ ქვეყნების კოალიციებათ დარაზმვისათვის.

ასეთ საშიშარ, რთულ მდგომარეობაში იმყოფება ამ ქამათ ქვეყნიერობა. დიდი და პატარა სახელმწიფოების წარმომადგენლებს მუდმივ გაფაციცებული მოლაპარაკებები აქვთ ლიგის კულისებში თუ ენევის ოტლებში. საითკენაა მათი ცდა მიმართული? ალბათ მალე გამოირკვევა.

ხ. შავიმიკილი.

წერილი ამერიკიდან

ამერიკის პრეზიდენტი რუზველტის მიმართვას რუსეთისადმი დამოკიდებულების აღსადგენად ამერიკის პრესა დიდი ენტუსიაზმით არ შეხვდა. 15 წელწინდ აღებულ გეზის გამოცვლას არავითარი იდეალური საძირკველი არა აქვს. რუსეთში ისევ ის არაღლეგალური მთავრობა არსებობს—მტერი თავის ხალხისა, ისევ ის უპრინციპო უხეში ძალა, რომელმაც სისხლით და მახვილით დაიმორჩილა არარუსი ერები. ვინც განუწყვეტლად, სასტიკად იბრძვიან და არასოდეს დაემორჩილებიან მტარვალს...

ამერიკის პრესა ხედავს ამ ახალი გეზით თავის პრინციპების დარღვევას. პრეზიდენტის მოქმედებამ შვანი გაჰყო პრესა. ერთი ნაწილი ეკარპირთ, შეურიგებლად ოპოზიციაშია, მეორე კი თითქოს ბოდიშით აღიარებს რუზველტის საქციელის საჭიროებას. საბოდიშო მიზეზებია: ერთი თავის ქვეყნის დეპრესია და მეორე შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობა, სადაც იაპონელების გაბედული მოქმედება ამერიკას პრესტიჟს და ბაზარს უკარგავს, რუსეთს კი სამკვდრო ომის შიშს უქადის. ამ შიშის შესახებ კარგი წერილია აქაურ ლიბერალურ ყურნალში The



Nation-ში მოსკოვში მყოფ კორესპონდენტის ლუიზ ფიშერის. წერილის სათაურია: «რუსეთის შიში და საგარეო პოლიტიკა». . . . «როცა მთელი ქვეყნიერობა აღშფოთებულია გერმანიის ფაშისტების მოქმედებით ებრაელების წინააღმდეგ—საბჭოთა პრესა ბეჭდავს მხოლოდ ფაქტებს უკომენტაროთ. როცა კომუნისტებს ათასობით იჭერენ და აწვალბენ გერმანიაში—რუსეთის კომუნისტები ხმას არ იღებენ და დამოკიდებულება ბერლინსა და კრემლს შორის არ შელახულა; პირიქით საბჭოებმა განაახლეს 1926 წლ. თავდაუსხმელობის პაქტი ჰიტლერთან, რამაც შეაძრუუნა ტროცკისტები და რადიკალები. აგვისტოში ჰიტლერისტებმა აწამეს ალტონიაში 4 კომუნისტი და თავი მოსჭრეს ნაჯახით—კომსომოლები არ გამოსულან ქუჩაში პროტესტით, საბჭოების პრესას არ დაუწყია ყიყინი. მხოლოდ «იხვესტიამ» გადაბეჭდა საფრანგეთის ბურჟუაზიულ განვითარებულ პროტესტი, თვითონ კი არ ამოუღია ხმა... აგრეთვე რუსეთის კომუნისტებმა კარგად იცოდენ, რომ ჰიტლერმა და ჰინდენბურგმა ფული შესწირეს ვოლგაზე მცხოვრებ დამშუულ გერმანელების სასარგებლოდ, თუმცა კარგად იცოდენ, რომ ეს ფული მათ არ მიუვიდოდათ, მაგრამ ეს იყო ერთგვარი დემოსტრაცია საბჭოთა წინააღმდეგ. საბჭოებმა ესეც გადაუცავეს. რა მოხდა? რატომ კაპიტალისტები აცხადებენ პროტესტს კომუნისტების დასაცავად და რუსეთის კომუნისტებს გაუჩერდათ ენა? რატომ? კორესპონდენტი ასე ხსნის ამას: «შიშია, შიში ომისა!» . . . «უმაღლეს წრეების კომუნისტებმა მითხრეს: «ჩვენ არა ვართ მზათო». აი ეს შიში ომისა ქმნის კომუნისტების საგარეო პოლიტიკას. ეშინიათ გერმანიისა, ეშინიათ იაპონელებისა»...

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ რუხველტის მოქმედებას და აქაურ პრესის მიერ დაფასებას. ნიუორკის «ტაიმსი», ეს დემოკრატების ოფიციალური, გონებით რუხველტს უჭერს მხარს. გულით კი წინააღმდეგია. თავის მეთაურ წერილში მორცხვად ამბობს, რომ პრეზიდენტი რუხველტის მიზიჯვა საბჭოთა მთავრობასთან დროებამ მოითხოვა. მიუხედავად ზოგიერთ სენატორების პროტესტებისა ნაბიჯი პრეზიდენტისა კანონიერია. კონსტიტუციის ძალით მხოლოდ პრეზიდენტს აქვს უფლება «მიიღოს წარმომადგენელი» და კონგრესი აქ არაფერ შუაში არის. თუმცა, მართალია სენატს შეუძლია არ დაუმტკიცოს ჯამაგირი გასაგზავნი წარმომადგენლისთვის. «რასაკვირველია, რუხველტი არ მიარბმევს მოსკოვს de jure ცნობას ვერცხლის თეფშზე. მოსკოვმა უნდა გაიღოს რამე (რა გაიღოს, არ იცის!), რომ საქმე გაჩაღდეს», ამბობს «ტაიმსი».

კონკრეტულად ვერავენ აღნიშნა, რა სარგებლობას მოუტანს ვალტაჟებული რუსეთის ცნობა ამერიკას. ყველა კი თხოულობს ძველი ვალების გადახდას და კომუნისტურ აგიტაციის შეჩერებას.

რუსეთს მართებს რვათა მთელი. დოლარი, დაახლოებით ნახევარი ფული ნასესხია კერესკის მთავრობის, მეორე ნახევარი კი არის კერო ამერიკელების და ბანკების ფული ნაციონალიზაციით მითვისებული.

«რასაკვირველია, ამბობს «ტაიმსი», პირველ ყოვლისა პრეზიდენტი გარკვეულად გააგონებს მოსკოვს, რომ შეერთებული შტატები ვერ მოითმენენ კომუნისტურ პროპაგანდას მესამე ინტერნაციონალის საშუალებით, თუმცა მოსკოვმა უკვე მიატოვა აზრი მსოფლიო რევოლუციისა ჩინეთში; გერმანიაში და სხვაგანაც».

შორს წავიყვანს, რომ მოვიყვანოთ სარკასტიული განხეთების სახელები და მათი აზრები. მაგალ. «The Logansport Press» შენიშნავს: «ორი საბჭოთა მთავრობები არ უნდა შეეჯახონ ერთმანეთს, თორემ კომისრები წაიხრებებიან». The Corvallis Gazette Times-მა სთქვა: «ჩვენ აქ ახლა ისე გავრადიკალიდით, რომ ეჭვი მაქვს, ვაი თუ რუსეთმა არ გვიცნოს». «The New York Times» მაც ვერ მოითმინა და თავის მოწინავე წერილში, როცა კალინინის სიტყვებს ეხება «ორი უდიდესი რესპუბლიკის შესახებ», ასე ამბობს: «თუ რუსეთი რესპუბლიკაა—მაშ რესპუბლიკა ყოფილია ყველაზე უდიდესი აბსოლუტური მონარქია ან მილიტარული ოლიგარქია ოდესმე გავიწილია».

რაც შეეხება აზიაში მდგომარეობას, არავინ იცის, «ორი რესპუბლიკის» დაახლოვება როგორ დაეხმარება საქმეს. იაპონიის საგარეო მინისტრმა კაკი პირატამ კი ასე შენიშნა: «თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამერიკის მიერ ცნობა ნიშნავს იაპონიაზე ხელის დაჭერას, მას არაფერი გაეგება შორეულ აღმოსავლეთის სიტუაციის»-ო და დაუმატა: «საეჭვოა, რომ უმაღლეს წყარტილამდე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა შეეფუოს კომუნისტურ წესწვობილების ქვეყანას»-ო.

მთელი აქაური ახლანდელი საგარეო პოლიტიკის ფილოსოფია გამოხატა ცნობილმა იუმორისტმა ვილ როჯერსმა, როცა თავის რადიო სიტყვაში რუსეთის შესახებ სთქვა: «ჩვენ ვიცნობთ ჯოჯოხეთსაც, თუ ის იყიდის ჩვენგან თხებსაო».

ნაუბი.

უცხოეთის მიმოხილვა.

პლემბისციტი გერმანიაში.

გერმანიის პლემბისციტი კანცლერ ჰიტლერის სასარგებლოდ ჩატარდა. რასაც არსათ არც განცვიფრება, არც ჩოჩქალი არ გამოუწვევია. კანცლერმა ხალხს დაუყენა ორი კითხვა: ა) მოგწონს თუ არა გერმანიის განიარაღების კონფერენციიდან და ერთა ლიგიდან გასვლა და ბ) ერთგული ხარ თუ არა «ფიურერის» (ბელადის) მთავრობის. პირველ კითხვაზე პასუხი ნიშნავდა განიარაღების კითხვის ძველებურ დიპლომატიურ ლიანდაგზე გადატანას; მეორე კითხვაზე—რაიხსტაგის ახალ შემადგენლობას. პასუხი დადებითი იყო, 40 მილიონამდე ხმა მიიღო კანცლერმა, მხოლოდ ორ მილიონ ხმამ უარყოფითათ უპასუხა და მით გააკვირვა უცხოეთი, რადგან ასეთ გამბედაობას არავინ მოელოდა. რაიხსტაგის არჩევნებისთვის ისედაც მარტო ერთი სია იყო კანდიდატებისა, ასე რომ დეპუტატებიც უკლებლივ ჰიტლერის ხალხია. თვით პრეზიდენტი და მარშალი,



ღრმით მოხუცი ჰინდენბურგი მივიდა კენჭის ყუთთან და ხმა ბელადს მისცა, აქედან ბელადობაც მას გადასცა თავის ნებით.

მიუხედავად თქმულისა, პლებისციტმა მაინც შთაბეჭდილება მოახდინა, ჰიტლერს სურდა ეთქვა, გერმანია—ეს მე ვარო და ამის უფლება მას უფრო ჰქონდა, ვინემ ლუი მე 14-ტეს. პირველ ყოვლისა, პლებისციტს გამოენმაურა იტალიის დუჩე, რომლის მოწაფედ სთვლის თავს თვითონ ბელადი. გერმანიის განიარაღების კონფერენციიდან გასვლის შემდეგ რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, თუ არა მუშაობის შეჩერება და სხვა გზების ძებნაო—განაცხადა მისმა დელეგატმა ენენვაში. მუსოლინს არ შეეძლო ოთხთა პაქტს დაყრდნობოდა და ამ მხრივ ის ალბათ ნაწყენი დარჩა გერმანიის ერთა ლიგიდან გასვლით. ჰიტლერს დასჭირდა მისთვის გერინგის გაგზავნა საკუთარი წერილით. მაგრამ დუჩესაც ხომ გულზე არ აწებია ერთა ლიგა, დეკემბერს ფაშისტთა საბჭომ შეიძლება კიდევ დაადგინოს. მისი კარნახით, იქიდან გასვლა. რაც შეეხება ინგლისს, მისი პრემიერი, მისტრიკოსი მაკდონალდი აბრუნდს უკეთესს ძველ მოკავშირე საფრანგეთს და ისიც ჯერ-ჯერობით კონფერენციის მიძინებას მოითხოვს.

საქმის ასეთმა დატრიალებამ ჰენდერსონი, კონფერენციის თავმჯდომარე, ეტყობა, ძალიან ააღელვა და ლონდონს და პარიზს დემისიონით დავემუქრა. მაშინვე მივარდენ ენენვაში საგარეო მინისტრები სერ საიმონი და პოლ ბონკურეი და სხვებთან ერთად დაიწყეს თათბირი სულთმობრძავ კონფერენციის საფურცურში. ბოლოს დაადგინა კონფერენციის ბიურომ საერთო კომისიის სხდომა 4 დეკემბრის ნაცვლათ იანვრის მეორე ნახევარში დაინიშნოსო. ხალხი მანამდე მუშაობდა შეჩერებულია და სახელმწიფოებმა, იგულისხმებ—«დიდები», უნდა მიმართონ დიპლომატურ გზებსო. მუსოლინის აზრმა გაიმარჯვა, შეიძლება მოლაპარაკება რომში გაიხსნას.

მაგრამ ჰიტლერიც ხომ ამ მეთოდს ქადაგებს: ენენვიდან წასვლა სულაც არ ნიშნავს, რომ მე ომი მსურსო, განიარაღებაშიც არავის ჩამოვრჩებით—გინდათ უკანასკნელ სალდათამდე დავითხოვოთო, მე მზათა ვარ ველაპარაკო მეზობელ სახელმწიფოებს, ვისაც ვნებავთ, ოღონდ გერმანიის ღირსება დაცულ იქნესო. თუ ამ სიტყვებზე პლებისციტის წინ ყურებს იყრუებდენ—საფრანგეთის წინანდელმა პრემიერმა დალაღიმე განაცხადა, ყრუ არა ვარ, მაგრამ ენენვიდან რად გაიქცეთო— პლებისციტის შემდეგ პრემიერი სარო აცხადებს, მზათა ვარ ველაპარაკაო.

საქმე, მაშასადამე, მიმდგარია იმაზე, ვინ დაიწყებს, საფრანგეთი თუ გერმანია. ჩვენის აზრით, არც ერთი, მაგრამ მუშაველები განა ცოტაა! ჯერ ერთი, ინგლისის პოლიტიკა მუდამ იყო და არის არბიტრობა ევროპაში, მაკდონალდს ეცილება მუსოლინი და შანსიც აქეთკენ იხრება, რადგან «მეგირდთან» მუსიაივი თითქო მას უფრო ენერგება. რაც შეეხება ამერიკას, მისმა დელეგატმა ნორმან დევიდმა გაქუსლა სამშობლოში და დაბრუნდება მხამხარეულზედ ფეხ მოსართხმელათ.

გერმანია-პოლონეთის შეთანხმება.

გახსოვთ ლიტვინოვის ფრაზა: საკმარისია ნახევარი საათის ბაასი, რომ რუხველტმა იცნოს საბჭოთა მთავრობაო. მუსიაივი იქცა კამათად და ათი დღე გაგრძელდა და მას ბოლოც არ ექნებოდა, რომ სტალინს არ ებრძანებია მისთვის დასთმე-გაათავო. რამ გამოიწვია ეს? დიპლომატურ წრეებში ლაპარაკობენ, და ეს ჩვენცა გვეცერა, რომ გერმანია-პოლონეთის ოფიციალურმა განცხადებამ—გადაწყვიტეთ ძალა არ ვიხმაროთ და სადაო კითხვები უშუალო მოლაპარაკებით მოვაგვაროთო—დიქტატორ კობას თავბრუ დაასხა მზგავსათ მისი ჯივლებისა, მეტიც ერთგულობით სოფლის კოლექტივიზაცია 100 პროცენტით რომ გამოაცხადეს და გლენობა უწყალოთ რომ დაცარცვეს.

პოლონეთმა თავიდანვე აუღო ალღო ენენვის ამბებს და არჩია, დამოუკიდებელი ნაბიჯები გადაედგა ბერლინში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა საჯაროთ განაცხადა მეზობლებთან ლაპარაკი მსურსო. ჩვენ ეს სულაც არ გვიკვირს. ბევრს ლაპარაკობენ და ჩვენც არა ერთხელ გვითქვამს, რომ ევროპაში მშვიდობიანობა შეუძლებელია, თუ გერმანია და საფრანგეთი არ შეთანხმდენო. ასეთივე მნიშვნელობა აქვს გერმანია-პოლონეთის შეთანხმებას. სხვა არ იყოს რა, ლოკარნოს პაქტი არსებობს დასავლეთით, არ არსებობს აღმოსავლეთით. ბრიან-კელოვის პაქტი არსებობს, მართალია, იარაღზე მიმართვა აღკრძალულია, მაგრამ მის შემდეგ რამდენი პაქტი დაიწერა, ლიტვინოვს განა ამით არ მოაქვს თავი—რეკორდი გააკეთა. მაშასადამე, გერმანია და პოლონეთის პირისპირ მოლაპარაკება სულაც არაა ზედმეტი, არ არის გამორიცხული საბოლოო შეთანხმებაც, მიუხედავად სადაო კითხვების უაღრესი სიძნელისა.

პოლონეთის ნაბიჯმა სენსაცია მოახდინა პარიზში, თუმცა მთავრობამ იცოდა და კმაყოფილიც იყო. ბოლოს და ბოლოს გერმანია-საფრანგეთის დაახლოების უმთავრესი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ გერმანია ვერ უთანხმდება პოლონეთს, რომელთანაც საფრანგეთი სამხედრო კავშირშია და, მაშასადამე, ვალდებულია ჩაერიოს, თუ თოფი გავარდა ვისლაზედ.

მეორეს მხრით, პოლონეთი თავდაუსხმელობის პაქტსა სდებს მოსკოვთან, ისე როგორც საფრანგეთს. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ვარშავა დიდის ნდობით არაა მაინც და მაინც გამსჭვალული ბლოშევიკების მიმართ. პოლონეთი არ ემუქრება არც გერმანიას, არც საბჭოთა კავშირს, სურს ორივესთან კეთილმეზობლობა, მაგრამ, თუ მეზობლებს არა აქვთ ასეთი სურვილი, მას ურჩევნია ერთ ფრონტთან ჰქონდეს საქმე და არა ორთან ერთბაშათ.

ლიტვისეანიშნავი იყო რაისის პროპაგანდის მინისტრის გებელსის სიტყვა გერმანია-პოლონეთის განცხადების შემდეგ. მან სთქვა, სხვათა შორის, ჩვენი შეთანხმება პოლონელებთან არც ისე ძნელია, თუ გაიხსენებთ, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის ყველაზე მოსისხლე მტერი რომანოვების იმპერია

გერმანიის ჯარებმა დაანარცხეს მიწაზეო. გერმანიის პრესა იხსენებს მარშალ პილსდუსის ლეგიონერთა განმათავისუფლებელ ბრძოლებს იმავე ძველი რუსეთის წინამძღვ. ჩვენ კიდევ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ დიდი ომის დაწყებისას რუსეთი, მოკავშირეთა გავლენით, შეპირდა პოლონეთს რაღაც ბუნდოვან, მსმენელთათვის სრულიად გაუგებრებელ წყალობას, ხოლო ვარშავის აღების მეორე დღეს ბებერმა პრემიერმა გორემიკინმა სახელმწიფო დუმაში თითქო სახელიც უწოდა ამ წყალობას—კუდა ავტონომია—, მაშინ ერთმა ქართველმა დეპუტატმა მიაძახა მღოგვი ვახშმის შემდეგო და დარბაზში ხარხარი ვაისმა.

წარმოვიდგინოთ ერთ წუთს, რომ რუსეთის იმპერია გერმანიის დამარცხებამდის არ დანგრეულიყო, რა მოუვიდოდა პოლონეთს? განა არის ერთი პოლონელი, რომელმაც დაუშვას, რომ ამ შემთხვევაში მისი სამშობლო აღსდგებოდა? არა, რა თქმა უნდა, და აქედან დასკვნაც ერთია: პოლონეთისთვის მთავარი ფორტი ისევ აღმოსავლეთშია.

თურქეთის ცხოვრება

ამას წინად თურქეთის რესპუბლიკის ათი წლის თავზე გამართულ დღესასწაულზე საბჭოთა დელეგაცია განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემით იყო მიღებული. დელეგაციას ვოროშილოვის მეთაურობით არა ერთი წვეულება და ბანკეტი ვაუმართეს. დაათვალიერებდნენ სხვადასხვა დაწესებულებას. ანკარადან მიიპატივეს სხვა ქალაქებშიც, სტამბოლშიაც. თურქულმა განუთებმა მრავალი ქება მიუძღვნეს და აღფრთოვანებული წერილები დასტამბეს.

რასაკვირველია, სხვადასხვა მოლაპარაკებასაც ჰქონდა ადგილი. თურქეთის პრემიერის ისმეთ ფაშას და საგარეო საქმეთა მინისტრს ტეფიკ რუსტუბეის და დელეგაციას შორის ანკარაში გამართულ მოლაპარაკებათა შესახებ ასეთი ოფიციალური ცნობა იყო გამოცემული: «მეტად გულითადი აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს დადასტურდა, რომ თურქეთ-საბჭოთა მეგობრობა განვილილ 12 წ. განმავლობაში განვითარდა ერთმეორის სრულის გაგებისა და შეხედულობათა გულწრფელი ერთობის მიმართულებით. დადასტურდა ისიც, რომ თურქეთა და საბჭოთა მთავრობების პირდაპირი თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე და ლონდონის პაქტის ხელის მოწერა მეტად ნაყოფიერი იყო მშვიდობიანობის განსამტკიცებლად, რომელიც ორივე მთავრობისათვის არის ფრთხილ საწადელი».

— გერმანულ განუთის «დ. აღვ. ცაიტუნ»-ის სტამბოლელი კორესპონდენტი სწერს, რომ საბჭოთა დელეგაცია თურქეთში იყო არა პოლიტიკური, არამედ წმინდა მილიტარული. «საკითხი ეხებოდა, სწერს განუთი, საბჭოთა სუვერენობის უზრუნველყოფას შავ ზღვაზე. იგი ასე იყო დასმული: შესაძლებს თუ არა თურქეთი დაკეტოს დარდანელის სრუტე, თუ ვინიცობაა საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა? საბჭოთა ფლოტი ამ ქამად შავ ზღვაზე ყველაზე უფრო ძლიერია და მას უნდა ეს უპირატესობა შეი-

ნარჩუნოს. დღემდის მოსკოვმა არაერთხელ მიიართა ანკარას წინადადებით, თუ საჭირო გახდა, დაგეხმარები სრუტეების დასაცავადო. მაგრამ თურქეთი ყოველთვის გვერდს უქცევდა ამ წინადადებას. ეს კითხვა კვლავ აღიძრა მის შემდეგ, რაც თურქეთმა ქუენევაში ითხოვა ნებართვა სრუტეების გასამარგებლად. საბჭოებმა ახლა ანკარაში გაგზავნა ვოროშილოვის გარდა მრავალი უმაღლესი ოფიცერი, რომელთაც რასაკვირველია ოფიციალურ განცხადებებში არ იხსენიებდნენ. საბჭოთა მისიამ თურქეთს ძღვნად მიართვა სამი ავიონი ყუმბარების სასროლი და ერთი ტრიმოტორი. დელეგაცია, როგორცკი ჩამოვიდა ანკარაში, დაუყოვნებლივ შეუდგა სამხედრო მოწყობილობათა ფაბრიკების დათვალიერებას. ინახულა ავიაციის სკოლა, წინანდელი ბრძოლის ველები და სხვადასხვა სამნიშვნელო ადგილები, ის ადგილიც, სადაც უნდა მოხდეს ჯარების კონცენტრაცია დარდანელისათვის იმ შემთხვევაში, თუ მარშალილოს ზღვა მტერს ჩაუვარდა ხელში. საბჭოთა დელეგაციამ დაათვალიერა შემდეგ ჩანაკი. ცხადია, რომ საბჭოები თურქეთის მხარეზე დადგებიან, თუ დარდანელის გამო რაიმე გართულება მოხდა».

— თურქული განუთი «ყუმურინი» ასეთი სიტყვებით ეგებება საბჭოთა დამყარების მეთექვსმეტე წლის თავს: «ჩვენ არ ვდღესასწაულობთ რუსეთის რევოლუციის მეთექვსმეტე წელს მარტო იმიტომ, რომ ეს დღესასწაულია ჩვენი მეგობრების და ამით ვასრულებთ სავალდებულო მოვალეობას, უბრალო წესს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ რევოლუციამ დიდი სარგებლობა მოუტანა და უსაზღვრო სამსახური გაუწია მთელს კაცობრიობას. ჩვენ ვართ პირველი ერი, რომელმაც შეიგნო ეს ჭეშმარიტება იმ ურთიერთობისა და დამოკიდებულობის გამო, რომელიც გვაქვს მეზობელ და მეგობარ ერთან. ჩვენ ვიცანით რევოლუციონური რუსეთი მეგობრად მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა მას მტრულად უყურებდა. რუსეთის რევოლუციის ისტორია ცოტათი თურქეთ-რუსეთის მეგობრობის ისტორიაცაა და ჩვენ აღფრთოვანებით ვიგონებთ წარსულს და აღტაცებით მივსალამებთ რუსეთის რევოლუციის მეთექვსმეტე წლის თავს».

— ნოემბრის 18 გაიხსნა სტამბოლის უნივერსიტეტი, რომელშიაც სხვათა შორის მიწვეულია 38 უცხოელი პროფესორი (32 გერმ., 5 ფრანგი და ერთიც შვეიცარიელი). უნივერსიტეტის გახსნას გარდა პროფესორთა და სტუდენტთა მრავალი საზოგადოება დაესწრო. სტუდენტებს სიტყვებით მიმართა განათლების მინისტრმა ჰიკმეტბეიმ: «ვიამყავთ იმით, რომ იმათი შთამომავალნი ვართ, რომელთაც შექმნეს ქვეყნად პირველი ცივილიზაცია, რომელთაგან მდიდოდა ყოველი განახლება ცივილიზაციაში, ამ 3-4 საუკუნის იქით. ეს ბრახიდიელი თურქები იყვნენ, რომელთაც ცენტრალურ აზიიდან მოჰვიწინეს ცივილიზაცია მთელს მსოფლიოს. ამ ადგილის მახლობლად, ფატიჰს მედრესეში, ამ ოთხი საუკუნის წინად, ასწავლიდნენ ყველაზე მეტად დაწინაურებულს აგრიკულტურას, უმწვერვალესად განვითარებულს ხელოვნებას და უნაყოფიერეს მეცნიერებას». შემდეგ

ფანატიკოსებმა და რეტროგრადებმა სიბნელეში ჩა-
ავდეს ჩვენი ქვეყანა და თითქმის სიკვდილის პირს
მიიყვანეს. ხოლო 1920 წლიდან ისეთი გენიოსის წყა-
ლობით, რომლისთანა ათი საუკუნის მანძილზე ერთი
თუ იზადება, თურქეთი აღსდგა და შეუდგა განახლებ-
ბულს ცხოვრებას და დღეს მასთან დამეგობრებას
და კავშირს დაეძებენ ყველანი. მინისტრმა ასე დაამ-
თავრა თავისი სიტყვა: «ახალგაზრდა თურქებო, მთე-
ლი ერის, მთავრობის და ჩვენი დიდი ხელმძღვანე-
ლის სიყვარული თქვენსკენაა მომართული... იმუშა-
ვეთ კაცობრიობისა და თურქიზმისათვის».

— თურქულ გაზ. «ახშამში» დაბეჭდილია შემდე-
გი მთავარი თეზისები ქემალ ფაშასი თურქთა ისტო-
რიისათვის: 1) ცენტრალური აზია კაცობრიობის აკ-
ვანია; აქ გაჩნდა პირველად ცხოვრება და განვითარ-
და. 2) პირველი ცივილიზაცია ქვეყნად ამ ცენტრალ-
აზიაში დაარსა თურქთა მოდემამ. 3) ანთროპოლო-
გიურად თურქები წარმოადგენენ ალპური ბრახიკე-
ვალეებს. 4) პერიოდული გვალვების გამო ხდებოდა
თურქთა გადასახლება ცენტრ. აზიიდან სხვადასხვა
ქვეყნებში და ამგვარად ისინი ავრცელებდნენ ცივი-
ლიზაციას მთელ დედამიწაზე. 5) თურქული ენა დედა
ენაა, თუ მეცნიერმა არ შეისწავლა თურქული ენის
ძველი აგებულება და პალეონტოლოგია, ისე ვერც
ერთს საენათმეცნიერო საკითხს ვერ გაარკვევს. 6) თუ-
რქებმა პირველხარისხიანი ცივილიზატორული
როლი ითამაშეს ძველსა და ახალ ცივილიზაციებში;
ამ როლს უსამართლოდ აკუთვნებენ მუსულმანობას.
7) ანატოლიაში თურქების დასახლება დაიწყო პა-
ლეოლითიკურ (ქვების) ეპოქიდან და გაგრძელდა
სელჩუკების დრომდე; ამიტომ ანატოლიაში წმინდა
სისხლის თურქული მოსახლეობაა და თურქიზმის
უძველესი ისტორია დაიწყო ერთსა და იმავე დროს
როგორც ცენტრ. აზიაში, ისე ანატოლიაში. 8) სხვა
და სხვა შემთხვევითმა გარემოებამ შეაჩერა თურქთა
ცივილიზატორული როლი, მაგრამ დღეს აღორძი-
ნებულნი ისინი ისევ გაავრცელებენ თავის მისიას და
უწინამძღვრებენ კაცობრიობას ადგილისაკენ.

— მთავრობამ შეიმუშავა გლენებისათვის საერ-
თო ფორმის ტანსაცმელი, რომელიც ეღირება 5-6
თურქული ლირა.

„როსტომელა“ ჩიხურად

«დამ. საქ.» ერთ-ერთ ნომერში მოხსენებული იყო,
რომ ჩიხელ პროფესორმა ალ. ბატიეკმა გადათარგმნა
ინგლისურიდან ჩიხურათ ქართული ლეგენდა «სი-
ლამაზე» (როსტომელა) და წაიკითხა ის თვითონ
სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგა-
დოებებშიო. ამ უამათ კი აღვნიშნავთ, რომ ეს თარ-
გმანი მოთავსებულ იქნა ერთ-ერთ კვირეულ პროგი-
ნციალურ ჟურნალში ამა წლის მაისში ავტორის შე-
მდეგი წინასიტყვაობით: «ეს ქართული ზღაპარი
არის ლეგენდა ძველის ძველი საქართველოში, იმ ქვე-
ყნის, რომლისაგან წარმოიშვა ოქროს ვერძი. ამ ზღა-
პარის ინგლისურათ მთარგმნელმა ქ-ნ ბელ კალბი
კარინგტონმა დასწერა: «არ შემიძლია ჩემს თანამე-
მამულეთ არ გავაცნო ეს ობოლი მარგალიტიო», და

სწორეთ ასევე ფიქრობს ამ ზღაპრის მთარგმნელი
ინგლისურიდან ჩიხურათ».

სრულიათ დამოუკიდებლათ ამისა, მოხდა მეო-
რეჯერ გადათარგმნა ამავე ლეგენდის ერთ ერთ ცნო-
ბილ ჟურნალისტის კოჟდელკას მიერ, რომელიც
არის რედაქტორი ერთი დიდი პრალის ყოველდღიუ-
რი გაზეთის. დაიბეჭდა კი ის ჟურნალ «პესტრი კვე-
ტი» (ქრელი ყვავილები) გასული ოქტომბრის ნო-
მერში. თარგმანი იწყება პირველ გვერდზე სახელწო-
ლებით «როსტომელა». მთარგმნელმა სწორეთ რომ
განსაკუთრებული ზრუნვა და სიყვარული გამოიჩინა
ამ ლეგენდისადმი. თავდაპირველათ წაუნძღვარა
მას შემდეგი წინასიტყვაობა: «ძველი ქართული
თქმულება, სახელწოდებით «მშვენიერება», რაც
არაა მთლათ მოხდენილათ არჩეული. გამოქვეყნდა
პირველათ რუსულ ჟურნალ «კავკაზ» ში, საიდანაც
ის გადათარგმნა ფრანგულათ მწერალმა დეზიმ და
გამოსცა კიდევ პარიზში 1900 წ. ფრანგულიდან კი
ეს მარგალიტი ქართული სახალხო პოეზიის გადა-
თარგმნა ინგლისურათ ქ-ნ ბელკოლბი კარინგტონმა.
მანვე გამოსცა ის ფრიად მდიდრულათ შემკული
გასულ 1932 წელს პარიზში. აი ამ ინგლისური თარ-
გმანიდან წარმოსდგება ეს პირველი *) ჩიხური თარ-
გმანი. მოვიმოქმედე ეს არა მარტო იმიტომ, რომ ეს
შეეფერებოდა ჩვენი ქართველი მეგობრების სურ-
ვილს, არამედ კიდევ ამოძრავებდა პატივისცემა და
ქუემპარიტათ ღირსი ადფრთოვანებისა ღირსება იმ
პოეტური ზღაპრისადმი, რომლის წარმოშობას ვხე-
დავთ ჯერ კიდევ ქრისტეს წინა ხანაში და რომელიც
შეიძლება ჩაითვალოს სამკაულათ ძველისძველი
ღრმა ორიენტალური კულტურის, განსაკუთრებით
კი საქართველოსი.


შემდეგ ამისა თარგმანს ახლავს ორი სურათი,
შესრულებული მთარგმნელის დაკვეთით სპეცია-
ლური მხატვარის მიერ: პირველი წარმოადგენს რო-
სტომელას, — გამგზავრებულს ისეთი ქვეყნის მოსა-
ძებნათ, სადაც სიკვდილი არ არსებობს. სადაც მიწა
არ თხოულობს ადამიანს. — დაჩოქებულს ირმის წი-
ნაზე, რომლის რქები იკარგებიან მალა-მალა
ღრუბლებში, და რომელიც არ მოკვდება, სანამ ისი-
ნი არ მისწვდება ზეცას. მეორე სურათზე კი ვხე-
დავთ იმავე როსტომელას, დაბრუნებულს უკვდავე-
ბის ქვეყნიდან სამშობლოში, სადაც ყველაფერი
დახვდება შეცვლილი და საერთო ნაგრევეებს შორის
ხედავს ერთ დანგრეულ ეკლესიას და იქვე მდგარ
მოხუც ბერს, რომელსაც როსტომელა ეკითხება:
«მაშაო, მითხარი, სად არის ქალაქი დედოფალი მა-
გდანისა?»

ზღაპარი ეს ქუემპარიტათ იწვევს მკითხველის
ადფრთოვანებას და ამ სტრიქონების დაშწერს არ
მიაჩნდა ზედმეტათ გამოეცხადებია პატივცემულ
მთარგმნელისათვის მადლობა ქართველი ლტოლ-
ვილის, რომლის ქვეყანას არა ერთი ასეთი მარგალი-
ტი შეუქმნია.

ქლ.

*) აქედან სჩანს, რომ ბ ნმა კოჟდელკამ არ იცის,
რომ ის ერთხელ უკვე თარგმნა პროფ. ბატიეკმა.

უკრაინელთა შორის



ნ. კ. შუმბარიძე
(1886—1933)

ჩვენი რედაქცია გულითადი მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველებს, რომ ამა წოდებრის 20 ს. სოფ. ლევილში (საფრანგეთი) გარდაიცვალა, «დამ. საქართველო»-ს ერთგული და ახლობელი თანამშრომელი კოლია ჭუმბურიძე.

განსვენებულმა თხოვა დაჟინებით თავის მეგობრებს, გახეივნი ნურაფერს დაბეჭდავთ ჩემს შესახებ და დამასაფლავეთ, რაც შეიძლება სადად და უბრალოთ.

არ შეგვიძლია პატივი არ ვსცეთ ძვირფასი თანამოკალმის თხოვნას, მაგრამ არ შეგვიძლია ამავე დროს არ გამოვსთქვათ ჩვენი მეტად მწვავე გრძობა, რომელსაც განვიცდით მისი სიკვდილის გამო: ჩვენ დავკარგეთ იშვიათი თანამშრომელი, მეგობარი ნამდვილი, რომელიც ჩვენს გამოცემაში თავიდანვე იღებდა მხურვალე მონაწილეობას და სულით და გულით მოწადინე იყო მისი წარმატების. მან მოათავსა «დამ. საქ.»-ში მრავალი სერიოზული და დაკვირვებული წერილი ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური შინაარსის «კაჟი»-ს ფსევდონიმით და უკანასკნელ თვეებში დაიწყო აგრეთვე წერა «ალფა»-ს სახელით მეტად საინტერესო ფელეტონებისა «საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან».

უკურნებელი სენით—ტუბერკულოზით—დაავადებული იგი, ბუნებით ყურნალისტი, მაინც ყოველთვის ახერხებდა წერას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წუთამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან.

ხარკოვში გახსნეს პირველი რუსული თეატრი. თუთხმეტი წლის განმავლობაში ხარკოვში რუსული წარმოდგენები არ იმართებოდა, ამის წინამდებელი იყვნენ ყოველთვის უკრაინის მთავრობანი. ახლა ეტყობა პოლიტიკა შეიცვალა და მოსკოვის ძალდატანებით რუსული თეატრების მოწყობას აპირებენ უკრაინის სხვა ქალაქებშიც, რუსიფიკაციის მიზნით რასაკვირველია.

— ლოვოში (პოლონეთი) პროცესის დროს უკრაინელმა ტერორისტმა ლემეკმა, ომელმაც საბჭოთა საკონსულოს მოხელე მოკლა, განაცხადა, რომ თავის მოქმედებით მას უნდოდა პროტესტის გამოცხადება ბოლშევიკების პოლიტიკის წინამდებელი უკრაინაში. ლოვოს ყველა უკრაინელმა ვეკილმა ითხოვა, რომ მათ მისცემოდათ ნება ბრალდებულის დასაცავად. სასამართლომ მხოლოდ ერთს მისცა ნება. უკრაინელმა ვეკილებმა კოლექტიური წერილი გამოაქვეყნეს, რომელშიაც ამბობენ, რომ მხარს უჭერენ საჯებით ლემეკს.

— პრალაში არსებულმა უკრაინის დამშეულთა დამხმარე ცენტრალ. კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა შვეეთ. შტატების პრეზიდენტს რუხველტს წინადადებით, რომ გამოსთხოვოს ლიტვინოვს ნებართვა, რათა უკრაინაში გაიგზავნოს საერთაშორისო კომისია სინაარკვევად გამოსარკვევად სიმშობის შესახებ. კომისია თავის თავზე ღებულობს ყოველსავე ხარჯს კომისიის მოგზაურობისთვის.

— ბოლშევიკებმა განიზრახეს ხარკოვში ძველი აუგონ უკრაინელ გამოჩენილ პოეტს შვეჩენკას და კონკურსი გამოაცხადეს ძველის გეგმისათვის, ხოლო ყველა პროექტს მოთხოვნილება დაუდვეს, რომ ძველი შვეჩენკას უნდა წარმოადგენდეს როგორც ბოლშევიზმის დამაარსებელს.

— 28 ოქტომბრის ნიუორკის «ტაიმსმა» ასეთი ცნობა დაბეჭდა: «დღეს შეერთებულ უკრაინელების ორგანიზაციები უგზავნიან დელეგაციას პრეზ. რუხველტს წინადადებით, რომ მიუდგომელი კომისია იქნას გაგზავნილი უკრაინაში იქაურ მდგომარეობის გამოსაკვლევად, სანამ ამერიკა რუსეთს იცნობდეს.

დელეგაცია მიართმევს პრეზიდენტს შემორანდუმს სადაც ნათქვამია: «რუსეთის ცნობა იქნებოდა ცნობა ოკუპანტების მართველობისა უკრაინაში, რომელიც ძალითა ხელში ჩაგდებული და შეიწათ ფლობილი. გასულ წლებში რამოდენიმე უნიონის მცხოვრები დაიხილა საბჭოთა უკრაინაში შიმშილისგან, რომლით მოსკოვს უნდოდა გაეტეხა უკრაინელ გლეხის ოპოზიცია კომუნისტურ სისტემის წინამდებ მიმართული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შიმშილი უკრაინაში არ იყო მიზეზი ცუდი მოსავლისა ან გვალვისა, არამედ შედეგი პოლიტიკურ და კულტურულ კონფლიქტისა უკრაინელების ნაციონალურ მისწრაფებისა და მოსკოვის იმპერიალისტურ-ცენტრალისტურ მიდრეკილებების».

შემორანდუმში განაგრძობს: «ჩვენ გვრწამს რომ თუნდა ჰუმანურ თვალსაზრისით ამ უბედურ მდგომარეობის გამოსაკვლევად სპეციალური ამერიკელი მისია უნდა გაიგზავნოს უკრაინაში»-ო.

ქართველთა კოლონიანი

ნოემბრის 12-ს შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის საზოგადო კრება, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. ბნმა ყურულმა. გამგეობის თავმჯდომარემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა აჯანყებაში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად:

ბატონებო,

დღეს, როდესაც პირველად გვიხდება ამ სეზონში შეკრება, ჩვენი ფიქრი და ჩვენი გრძობა ალღევებით მიისწრაფება იმ ამბებისკენ, რომელთაც ავგისტოს აჯანყების დღეებში ქონდათ ადგილი.

28 ავგისტოს დაწყებული სახალხო ამბობება, აფეთქებული საქართველოს მრავალს კუთხნებში, უტყუარად, დიდ ისტორიულ თარიღათ გარდაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მორიგმა მოძრაობამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს და უცხოელი უხეში ძალები კვლავ სთელავენ ჩვენ სამშობლოს მიწას, მიუხედავად უამრავ მსხვერპლის, რომელიც შეიწირა ჩვენი განთავისუფლების იდეისათვის, და მიუხედავად იმისა, რომ ამ მსხვერპლთა შორის თავნი თვისნი დასდევს უკეთესებმა ქართველ ძეთა შორის, რომელთ ანაზღაურება გაუძნელდებოდა ჩვენხედ უფრო მძლავრს ერსაც, ეს ისტორიული დატა, 28 ავგ. 1924 წლის, სიამაყით და იმედით ავსებს ჩვენს გულს.

დიად. იმედით, ვინაიდან, მტერმა თუ მოყვარემ, ყველამ საერთოდ, იხილეს, რომ ჩვენს ქვეყანას არ მოაკლებია სამშობლოსათვის თავდადებულნი, რომ ქართველებში კვლავ უშრეტად ღვივის გაუქრობელი ალი თავისუფლების.

საფრანგეთის დიდი ემიგრანტი და დიდი ფრანგი, ვიკტორ ჰიუგო, ბელგეთში ლტოლვილობაში ყოფნის დროს, ასეთის გამამხნეველი სიტყვებით მიმართავს ამ ჩვენსავით პატარა ერს, რომლის ხანგრძლივი ისტორია არის მედგარი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის: «პატარა ერი, თავისუფლების მოტრფილი, უფრო დიდია, ვიდრე ბამბერაზი ერი, მონობის ბრწყალეებში ჩარჩენილი». და ჩვენმა უკვდავმა გმირებმა სწორედ ამ სიდიადეზე ალიყვანეს ჩვენი ერი:

ესკეთ თავყანი მათ წმიდა ხსოვნას, ფეხხედ აღვგომით და მგლოვიარე დუმილით...

შემდეგ ბ. არსენიძის შეკითხვის გამო გაიმართა კამათი ქართული ოფისის საკითხის გამო და მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება:

«საზოგადო კრება ავალებს გამგეობას, რომელსაც დაემატება კომისია, შეისწავლოს საკითხი ოფისის საბჭოს შესახებ და წარმოუდგინოს საზოგადო კრებას თავისი მოხსენება».

კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები რ. არსენიძე, ვ. წულაძე, გრ. ცხაკაია, ი. გობეჩია, ფრ. წულუკიძე, რ. გაბაშვილი და ი. კემულარია. N

ერთა ლიზის ღამხმარე ქართ. საზოგადოება

5 ნოემბერს შესდგა საზოგადოების კრება, რომელზედაც ბ. გიორგი კერესელიძემ გააკეთა მოხსენება—საერთაშორისო მდგომარეობა და საქართვე-

ლოს საკითხი. ბ. კერესელიძემ საკმაოდ ვრცლად გააშუქა ის უდიდესი გართულებები, რომელნიც ახასიათებენ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობას. მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოთა რუსეთის როლი ასეთს ვითარებაში და გამოსთქვა რწმენა, რომ მიუხედავად ზოგიერთ მნიშვნელოვან გარემოებისა, რომლებიც საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებს, რუსეთი როგორც საბჭოების, ისე ყოველნაირი, იმ ზომად არის განსხვავებული ევროპიულ ხალხებისაგან თავის ხასიათით, ბუნებით და სულით, რომ ის ვერასოდეს შესძლებს ევროპასთან მტკიცე შედუღებას და საფუძვლიანად შერიგებას. მომხსენებელს მტკიცედ სწამს, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა, საქართველოს განმათავისუფლებელის ბრძოლის ნიადაგი არ შესუსტებულა არც შინ და არც გარეთ, ხოლო ამ პირობების მიხედვით საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა ამ ბრძოლის ტაქტიკასა და მეთოდებში. მაგრამ უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ქართულ ძალთა ნამდვილი ერთობისა და მთლიანობის დამყარება და განმტკიცება. მოხსენების გარშემო მომხდარ ახრთა გაცვლაში მონაწილეობა მიიღეს: დ. ვაჩაძემ, შ. ამირეჯიბმა, გ. გვახავამ, კ. გვარჯალაძემ, გ. ყურულმა, რ. არსენიძემ, ი. სალაყაიამ და ვ. ნოზაძემ.

ქართველ საზოგადოებას

საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან ჩვენ მოგვლის ცნობები, რომ ქართველი პოლიტიკური გადასახლებულები ყოველგან დიდ გასაჭირს განიცდიან. მათი ტანჯვა ციხეებში, ჩეკაში, მივარდნილ შორეულ და ცივ ადგილებში აუტანელია. მათ წინეთაც არ ეძლეოდა საკმაო სახარდო, დღეს კი რუსეთის ამ საერთო შიმშილობის ხანაში ისინი პირდაპირ შიმშილისაგან იხოცებიან და რასაკვირველია განიცდიან აგრეთვე ტანსაცმელისა და სხვა მიუცლებელი საგნების დიდს ნაკლებობას. ამის გამო მათ შორის გავრცელებულია ათასნაირი სენი და ავთმყოფობა და ამ მხრივაც ისინი ყოველგვარ ყურადღებას მოკლებულნი არიან. ასეთნაირ წარმოუდგენელ ცულ პირობებში იმყოფებიან ჩვენი ერის საერთო საქმისათვის თავდადებული მებრძოლნი.

ჩვენ მივმართავთ ქართველ საზოგადოებას განუარჩევლათ პარტიისა და მიმართულებისა და მოუწოდებთ მათ დაუყონებლივ მივეშველოთ და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოთ ტანჯვა გაკვირებაში მყოფ ჩვენ სახელოვან მამულიწვილებს.

საჭიროა, რომ ყოველგან, სადაც კი მოპოვება ქართველობა, დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტები ასეთი დახმარების შეკრებისა და გადაგზავნის მოწყობისათვის. პარიზის ქართველობა უკვე შეუდგა ამ საქმის მოგვარებას და საჭიროა, რომ ასევე მოიქცენ სხვაგანაც. სანამ ეს ორგანოები შეიქმნებოდეს, მანამდე ყოველგვარი შემოწირულება ამ საქმისათვის მიიღება «დამოუკიდ. საქართ.» რედაქციის სახელზე.